# საერთო გაზეთი

№20 (612)
ოთხშაბათი
2 ივნისი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.

## ერთსართულიანი საქართველო და „მრავალსართულიანი“ გახარია



„ჩვენ იმის ტყვეობაში ვრჩებით, რომ უნდა ვიცხოვროთ მხოლოდ ერთსართულიან ქვეყანაში, ცათამბჯენების ეპოქაში“



## ვინც ფლობს საქართველოს, ის ფლობს კავკასიას. ვინც ფლობს კავკასიას, ის ფლობს ახლო აღმოსავლეთს

## მამა ბასილი: რატომ დუმს ეკლესია მაშინ, როცა განგაშის ზარებს უნდა არისხებდეს?!



## რა ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ლელთ ღუნიას ყოველდღე კლავენ?



ოცდაათი წელია, ყოველდღე კლავენ ლელთ ღუნიას, რომელიც დაჭრილ-დაჩეხილი, სისხლისგან დაცლილი მაინც ჯიუტად იმეორებს: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს!

## დიმირტი ლორთქიფანიძე: საქართველო – ქვეყანა, რომელსაც არსად ელიან





## პოლიტაფერისტები სააკაშვილის სახელობის ნიანგთსაშენიდან

## ჩარფუზანა ქართულად





## ფრანკლინ რუზველტი – სტალინისა და ამერიკელების საყვარელი პრეზიდენტი

## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

## რედაქტორის სვეტი



ვახტანგ ხარჩილავა:

შევიდნენ! შეშავდნენ! შებნელდნენ! შეგველდნენ!

შვიდი თვე დასჭირდათ იმის გადასაწყვეტად, შეთრეულიყვნენ, შეშავებულიყვნენ, შებნელებულიყვნენ, შეგველებულიყვნენ თუ არა პარლამენტში და, აჰა, როგორც იქნა, შეეტივნენ, რითაც, ბოლოს და ბოლოს, აღიარეს, რომ არჩევნები არ გაყალბებულა.

ისინი, ვინც ამ შვიდი თვის განმავლობაში ყელგამოწვდილი ეხვეწებოდნენ „ნაცმოძრაობას“, პარლამენტში შემოდითო, სულ მალე მიხვდებიან, რომ „ნაციონალების“ საკანონმდებლო ორგანოში არაფერი ესაქმებათ.

მათი სტიქია ქუჩაა, მათი ადგილი ქუჩაშია, ისინი ტიპიური მოძალადეები არიან, რომლებიც სულ სადღაც შეჭრას და შევარდნას ცდილობდნენ და ეს მავნე ჩვევა დღემდე ვერ მოიშალეს.

დარწმუნებული ვარ, მალე დიდი სინანულის ჟამი დაუდგებათ ქალბატონ კელი დეგნანს და ბატონებს: შარლ მიშელს, კრისტიან დანიელსონს, ჟოზეფ ბორელს, ზოგიერთ ამერიკელ სენატორს და კონგრესმენს ნაციონალები, ეს წმინდა წყლის ავანტურისტები, ეს პოლიტხულიგნები და პროფესიონალი პროვოკატორები, თითქმის ძალისძალად რომ შეიყვანეს საქართველოს პარლამენტში.

მათ უტიფრად გადააბიჯეს შარლ მიშელის დოკუმენტს, ხელი არ მოაწერეს ამ დოკუმენტს და ისე შეცვივდნენ პარლამენტში.

ვინმეს იმედი აქვს, რომ ამის ჩამდენი ძალა პარლამენტში კონსტრუქციულად მოიქცევა, კანონშემოქმედებით მუშაობაში ჩაებმება და ქვეყნის პრობლემების გადაწყვეტაზე იზრუნებს?

ევროპარლამენტი ფეხებზე დაიკიდეს და ესენი კუჭავას, თალაკვაძეს და პაპუაშვილს გაუწევენ ანგარიშს?

— ჩვენ მიტაცებული სახელმწიფო უნდა დავიბრუნოთ! — თვალების ბრიალით აცხადებდა ნიკანორ მელია, როგორც თვითონ უწოდა თავის თავს — „თავზეხელაღებული პოლიტიკოსი“.

თავზეხელაღებული ბანდიტი გამიგია, თავზეხელაღებული ყაჩაღი გამიგია, მაგრამ თავზეხელაღებული პოლიტიკოსი პირველად გავიგონე და, უნდა გამოვტყდე, ძალიანაც მომეწონა, რადგან ზუსტად გამოხატავს ტიპიური ნაციონალის ნამდვილ სახეს და ბუნებას.

ნიკანორ მელია არავინ არ არის — ის სააკაშვილის კლონია, მისი ასლია. ისიც, მისი ბოსივით, შეჭრის და შევარდნის სპეციალისტია და სწორედ ამ ნიშნით გამოარჩიეს და დააწინაურეს „ნაცმოძრაობის“ სათადარიგო ლიდერად.

— პანღურამორტყმულივით რატომ დადის ეს კაციო? — იკითხა ერთმა ფეისბუკმომხმარებელმა, მელიას სიარულის მანერით გაკვირვებულმა.

— პანღურამორტყმულივით კი არ დადის, ეს მოძველბიჭო ელემენტების სიარულის სტილია, ძმაოო, — გაანათლა მეორემ.

მართალია, ეს მეორე — ნამდვილად არის ნიკანორში რაღაც ხულიგნური და ძველბიჭური, რაც თავზეხელაღებული პოლიტიკოსის პორტრეტს ავსებს და ამდიდრებს.

მტრისას, ამან რომ ძალაუფლება ჩაიგდოს ხელში — მონგრეული ყბების, ჩამტვრეული კბილებისა და ჩალეწილი ნეკნების თვლას ვერ ავუვალთ.

— სულ ასეთი იყოო, — იხსენებს მამა ანზორი, — მოვიდოდი სამსახურიდან დაღლილ-დაქანცული, ეს კიდევ საქმეებს მირჩევდაო.

საქმეების გარჩევა და ქურდული „სხადნიაკები“ მერე ნახეთ, თქვენ, ნიკანორი და მისი „შანტრაპა“ ხელისუფლებაში თუ მოვიდნენ.

ნაციონალებმა აღიარეს, რომ პარლამენტში კანონშემოქმედებითი საქმიანობისთვის კი არა, სადებოშიოროდ და სახულიგნოდ შედიან, რომ „ქართულ ოცნებას“ ნორმალური მუშაობის საშუალება არ მისცენ.

— ჩვენ ყველა მხრიდან უნდა შევუტიოთ „ქართულ ოცნებას“ — ნაწილმა ქუჩიდან, ნაწილმა — პარლამენტიდან. ფართო ფრონტით უნდა შევუტიოთ და ვაიძულოთ, პოზიციები დათმოსო, — განაცხადა ნიკანორმა გვარამიასთან სტუმრობისას და მომყოლებმა — გუბაზ სანიკიძემ, ნატო ჩხეიძემ, კახა ოქრიაშვილმა, დასტური მისცეს — ჩვენ აქამდე ჩვენს მოედანზე ვთამაშობდით, ახლა დროა, მათ მოედანზე გადავიდეთო, — დასძინეს.

აი, ეს „სასტავი“, ეს მედროვეები, ეს უთავმოყვარეო, უსინდისო ყვარყვარეები, პარტიიდან პარტიაში გადამრბენი და გადამფრენი არსებები რომ ეყოლება მოკავშირეებად და ძირითად ბირთვად, იმ პოლიტიკური პარტიის ნდობა და იმედი როგორ გაქვთ, ნაციონალების მხარდამჭერებო?

როგორც ვთქვით, „ნაცმოძრაობის“ პარლამენტში შესვლით ძალიან ცუდი პროცესები დაიწყება პარლამენტში.

„ნაცმოძრაობა“ შეეცდება, აუტანელი, გაუსაძლისი სიტუაცია შექმნას საკანონმდებლო ორგანოში და, ფაქტობრივად, საპარლამენტო მუშაობის პარალიზება მოახდინოს.

აი, ეს რომ მოხდება, მაშინ მაინც თუ მიხვდებიან ჩვენი დასავლეთელი მეგობრები და პარტნიორები, „ნაცმოძრაობის“ სახით რა ბოროტ ძალასთან აქვთ საქმე.

„ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური ორგანიზაცია კი არა, უფრო ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც ოცი წელია, საქართველოს და ქართველ ხალხს ატერორებს, ბოლო დროს კი არც დასავლეთის დაშანტაჟებას ერიდება.

ეჭვი მაქვს, რომ „ნაცმოძრაობა“ ცოტა ხანს „იჟულიკებს“ პარლამენტში, მერე რაიმე შარს მოსდებს „ქართულ ოცნებას“, პარლამენტის სხდომათა დარბაზს დატოვებს და კვლავ ქუჩას, ანუ რევოლუციურ სცენარს დაუბრუნდება.

აი, ნახავთ, თუ ასე არ მოხდება...

# რა ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ლელთ ღუნიას ყოველდღე კლავენ?

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ტელეგადაცემებს ვადევნებდი თვალს და უცნაური რამ აღმოვაჩინე — თითქმის ყველა არხს ის ადამიანები ჰყავდა მოწვეული სტუმრად, რომლებსაც ლომის წილი აქვთ შეტანილი დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულ ომში, რომლის შედეგად დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება დაამხეს, პრეზიდენტი გამსახურდია ქვეყნიდან გააქციეს, უზენაესი საბჭო დაშალეს, ქვეყანა სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლში გახვიეს.

ამ შინაურმა დამპყრობლებმა, უცხო ქვეყნების დახმარებით და წაქეზებით, ფაქტობრივად, დაიპყრეს საკუთარი სამშობლო და ერთ წელიწადში მის დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს ძირი გამოუთხარეს.





აი, ამ „გმირული“ საქციელის ჩამდენ ადამიანებს ეპატიჟებოდნენ 26 მაისს ქართული ტელევიზიები და საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული მომენტის — დამოუკიდებლობის დღის შესახებ კომენტარებს და შეფასებებს სთხოვდნენ და ისინიც, ეს დამნაშავეები და კრიმინალები, ურცხვად და უტიფრად ცდილობდნენ, გაემართლებინათ ის უდიდესი დანაშაული, რაც მათ საქართველოს და ქართველი ხალხის წინაშე ჩაიდინეს.

ისინი ლაპარაკობდნენ, როგორც გამარჯვებულები, ოღონდ იმას ვერ აცნობიერებდნენ, რომ ეს გამარჯვება საქართველოს დამარცხებით მოიპოვეს.

დამარცხებულ საქართველოში გამარჯვებული რომ ხარ, ამაზე დიდი ცოდვა და ბოროტება არ არსებობს, მაგრამ ეს რომ იგრძნო და გაიაზრო, ეს რომ მოინანიო, სინდისი უნდა გქონდეს.

26 მაისს ნანახმა უმსგავსობამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ, სანამ დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლების დამხობის ტრაგიკულ ფაქტს ობიექტური და მიუკერძოებელი შეფასება არ მიეცემა, როგორც პოლიტიკურად, ასევე სამართლებრივად, მანამდე ქართული სახელმწიფო წინ ვერ წაიწევს, მანამდე საქართველო იქ, 90-იან წლებში არის გაყინული და დამუხრუჭებული.

ბევრჯერ ვთქვი, ბევრჯერ დავწერე, მაგრამ, მოდით, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: 2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“, ანუ ქართველმა ხალხმა, ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, არა მარტო „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი რეჟიმი დაამთავრა, არამედ დაასრულა სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოსული შევარდნაძის რეჟიმიც, ანუ, ფაქტობრივად, დაამთავრა კრიმინალური ძალების ხელისუფლებაში ყოფნის 20-წლიანი ციკლი, რითაც აღადგინა სამართლიანობა და იმ პერიოდს მიუახლოვდა, სადაც გაწყდა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისკენ მიმავალი გზა.

სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ არ ისურვა თუ ვერ მოახერხა ამ სახელმწიფოებრივად უდიდესი მნიშვნელობის გამარჯვების სათანადოდ გაფორმება, ამ გამარჯვებისთვის ზუსტი პოლიტიკური შეფასების მიცემა, რის გამოც ეს უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვება



„ნაცმოძრაობის“ და სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებად დახურდავდა.

სააკაშვილი შევარდნაძის პირდაპირი სამართალმემკვიდრეა, მისი გაგრძელებაა, ისევე, როგორც „ნაცმოძრაობაა“ „მოქკავშირის“ ნოყიერ ნიადაგზე აღმოცენებული ლენცოფა, შევარდნაძის ხელით დარგული, მის მიერვე მორწყული და მოვლილი, მის მიერვე ნალოლიავები.

„ნაცმოძრაობა“ შევარდნაძის მიერ საქართველოსთვის ნობათად დატოვებული შურისძიებაა…

„ქართულ ოცნებას“ ჰქონდა შანსი, აღედგინა ძალადობრივი გზით გაწყვეტილი ქართული სახელმწიფოებრივობის ჯაჭვი და თავისი მოღვაწეობა ჯაჭვის იმ რგოლისთვის გადაება, სადაც ის გაწყდა.

როგორც ვთქვით, „ქართულმა ოცნებამ“ მოკრძალებული გზა აირჩია და „ნაცმოძრაობაზე“ გამარჯვების დაფიქსირებით დაკმაყოფილდა, თუმცა აქაც ვერ შეძლო, ბოლომდე მიეყვანა ეს გამარჯვება და, მიუხედავად იმისა, რომ „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილი უამრავი უმძიმესი დანაშაულის გამო ყველანაირი საფუძველი ჰქონდა, „ნაცმოძრაობა“ საერთოდ გაეშვა პოლიტიკური ასპარეზიდან, მან მაინც კოაბიტაციის კომფორტული ზონა აირჩია საურთიერთოდ.



გაშვებას ვინ ჩივის, „ქართულმა ოცნებამ“ „ნაცმოძრაობის“ მიერ სახელმწიფო დროშად გამოცხადებული პარტიული დროშაც კი არ შეცვალა, არ შეცვალა არც ჰიმნი, ანუ პირდაპირ გააგრძელა იმ სახელმწიფო ატრიბუტიკის ქვეშ საქმიანობა, რაც „ნაცმოძრაობამ“ დაგვიტოვა, რითაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს „ნაცმოძრაობა“ არსადაც არ წასულა, თითქოს „ნაცმოძრაობა“ კვლავ ხელისუფლებაშია და ქვეყნის „აღმშენებლობას“ განაგრძობს.

სულ ტყუილად ვაფრთხილებდი „ქართულ ოცნებას“ ამ რამდენიმე წლის წინათ:

„სააკაშვილის ჰიმნით,
სააკაშვილის დროშით,
ვერ გაიმარჯვებს ქვეყანა
სააკაშვილთან ომში.

გამარჯვებულის პოზით
მორჩით ხის ხმლების ლესვას!
რაც ვერ გაიგეთ პროზით,
იქნებ, გაიგოთ ლექსად:

სააკაშვილის ჰიმნით,
სააკაშვილის დროშით,
სულ წაგებული ვიქნებით
სააკაშვილთან ომში!“

განა იმდენი არ მესმის, რომ არ შეიძლება ხელისუფლებების ცვლილებების კვალდაკვალ გამუდმებით ცვალო სახელმწიფო ჰიმნი და სახელმწიფო დროშა, მაგრამ იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, რა ტიპის ხელისუფლების მემკვიდრეობას ირგებ ტანზე და ვის დანატოვარს უგრძელებ სიცოცხლეს?

26 მაისისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემებში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავაზე კი იყო საუბარი, მაგრამ არსად ჩანდნენ გამსახურდიას და კოსტავას ერთგული თანამებრძოლები და მხარდამჭერები, ჩვეულებრივი რიგითი ქართველები თავიანთი არაჩვეულებრივი ბიოგრაფიებით, რომლებმაც ბოლომდე იბრძოლეს საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის.

ისინი არ ჩანდნენ, სამაგიეროდ, როგორც ზემოთ ვთქვი, ჩანდნენ ისინი, ვინც თავისუფლებისთვის მებრძოლი ეს ადამიანები დაამარცხა. მათთან ერთად დაამარცხა საქართველო და ერთი წლის თავზე ნანატრი დამოუკიდებლობა თავზე ჩამოგვამხო.

ისინი ლაპარაკობდნენ, როგორც გამარჯვებულები და ხშირ-ხშირად ახსენებდნენ ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილს, მათ იდეოლოგიურ მამას და გურუს, რომელიც ფილოსოფიურ ახსნას და გამართლებას უძებნიდა მათ ავაზაკურ საქმეებს და კანონიერად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს კანონზომიერ მოვლენად თვლიდა.

მე არ ვიცი, რა ხარისხის და რა ღირებულებისაა მამარდაშვილის ფილოსოფიური მემკვიდრეობა, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ რუსეთში მოღვაწე ამ ადამიანმა, რომელიც 90-იანი წლების ტრაგიკული მოვლენების პერიოდში მოულოდნელად გააქტიურდა, ძალიან უარყოფითი როლი ითამაშა იმ საბედისწერო 90-იან წლებში.

ამბობენ, მამარდაშვილი მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსულ სპეცსამსახურებთან, რუსულ პოლიტიკურ ელიტასთან და მათ დავალებებს ასრულებდაო, მაგრამ თუნდაც არ ყოფილიყო ეს ასე, ფაქტია, რომ, რაც მან გააკეთა, ეს იყო დიდი მავნებლობა საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ.

მამარდაშვილი მარტო არ ყოფილა, მას ზურგს უმაგრებდა ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა მთელი არმია, რომელსაც შევარდნაძემ მოგვიანებით გულითადი მადლობა გადაუხადა „პროვინციული ფაშიზმის“ დამარცხებაში შეტანილი წვლილისთვის.

თავზარდამცემი და გამაოგნებელია, როცა 90-იან წლებში მომხდარ ტრაგედიაზე ფიქრობ და იმ ბოროტების მასშტაბებს აანალიზებ, რომლებმაც ქვეყანა სრულ კოლაფსამდე მიიყვანა, მაგრამ კიდევ უფრო თავზარდამცემი და გამაოგნებელია, რომ ამ ბოროტების ჩამდენებს და აღმსრულებლებს ეს ყველაფერი შერჩათ და ოცდაათმა წელმა ისე ჩაიარა, არავისთვის პასუხი არ მოუთხოვიათ.

როგორც ვთქვით, ისინი გამარჯვებულები არიან, გამარჯვებულებს კი არ ასამართლებენ.



საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების მოპოვებით გამოწვეული სიხარული და აღტკინება არ შეარგეს და ერთი წლის თავზე ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდნენ.

რა თქმა უნდა, ახლად დამოუკიდებლობამიღებული სახელმწიფოს პირველ ხელისუფლებას შეცდომები ჰქონდა, მაგრამ ეს არ იყო იმ მასშტაბის შეცდომები, რომელთა აღმოსაფხვრელად აუცილებლად ომი უნდა დაგვეწყო და ქვეყანა დაგვენგრია.





დროთა განმავლობაში ეს შეცდომები გასწორდებოდა, ბოლოს და ბოლოს, თუ პრობლემებს თავს ვერ გაართმევდა, ამ ხელისუფლებას გადავირჩევდით და სხვას ავირჩევდით, მაგრამ არა, მაინცდამაინც ტანკებით, ბეტეერებით, ტყვიამფრქვევებით, ავტომატებით უნდა გადაგვებუგა და ამოგვეშანთა ყველაფერი, რაც დამოუკიდებლობასთან იყო დაკავშირებული.

არა იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდია „დიქტატორი“ იყო, არა იმიტომ, რომ ქვეყანაში „პროვინციალური ფაშიზმი“ მძვინვარებდა თურმე და დემოკრატიის განვითარებას საფრთხეს უქმნიდა, არამედ საქართველო სამაგალითოდ დაისაჯა იმის გამო, რომ დინების საწინააღმდეგოდ ცურვა გავბედეთ და უარი ვთქვით იმ ჩარჩოებზე, რომელიც სამოქმედო არეალად მოგვიზომეს.

გლობალისტურ იდეოლოგიაში არანაირად არ ჯდებოდა ის ფორმულა, რაც ახალდაბადებულმა სუვერენულმა სახელმწიფომ, საქართველომ, თავისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების მთავარ მიზნად და ამოცანად დაისახა — ენა, მამული, სარწმუნოება.

ამიტომაც გადაწყვიტეს სასწრაფოდ, ოპერატიულად, ჩანასახშივე მოეშთოთ ჩვენი სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ და განაჩენი მალევე სისრულეში მოიყვანეს.

ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა ფიქციად იქცა.

ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ ერთი დღით არ შეწყვეტილა გააფთრებული ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ოცდაათი წელია, ყოველდღე კლავენ ლელთ ღუნიას, რომელიც დაჭრილ-დაჩეხილი, სისხლისგან დაცლილი მაინც ჯიუტად იმეორებს: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდვნოდეს!

ოცდაათი წელია, ყოველდღე ცდილობენ, წაშალონ საქართველოს ფარზე აზიდული სამი უძვირფასესი სიტყვა: ენა, მამული, სარწმუნოება.

ჩვენ დღეს თავიდან გვაქვს მოსაპოვებელი დამოუკიდებლობაც და თავისუფლებაც.

2012 წელს, როგორც ვთქვი, ქართველმა ხალხმა, ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, შეძლო დაემარცხებინა საქართველოს დამოუკიდებლობის დამმარცხებელთა ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმი, თავისი



შევარდნაძიან-სააკაშვილიანად, მაგრამ საქართველოს უფლება არ მისცეს, ბოლომდე გაემარჯვა ამ ბოროტ ძალაზე, რომელიც 21 წელი ნელ-ნელა და დაგეგმოვნებით ანადგურებდა საქართველოს.

2012 წელს ასპარეზზე გამოჩენილი პოლიტიკური ძალა, ეს იყო ახალი ეროვნული მოძრაობა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ედგა სათავეში.

სწორედ ამიტომ ამოიღეს ივანიშვილი მიზანში და ზუსტად იმ მეთოდებით სცადეს მისთვის ანგარიში გაესწორებინათ, როგორც ზვიად გამსახურდიას გაუსწორდნენ.

სიტყვებიც კი არ შეუცვლიათ, ზუსტად იმ სიტყვებით „ამკობდნენ“ ივანიშვილსაც, რა სიტყვებითაც გამსახურდიას „ამკობდნენ“, რაც იმის დასტურია, რომ ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ არ დამთავრებულა და არც დამთავრდება მანამ, სანამ ბოლომდე არ გვიწამლებენ და „მოძველებული“ და „დრომოჭმული“ იდეებისგან არ „განგვკურნავენ“.

**ვახტანგ ხარჩილავა**

# ერთსართულიანი საქართველო და „მრავალსართულიანი“ გახარია

28-ში გამოაცხადეს, ხვალ დიდი დღეაო!

2021 წლის 29 მაისს, 17:00 საათზე გაიმართება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოსთვის“ დამფუძნებელი კონფერენციაო!

გაიგონეთ? დიდი დღეაო, გიორგი გახარიამ პარტია შექმნა „საქართველოსთვის“ და უნდა გიხაროდენო!

ამ ხალხს (რატომღაც) აღარ შეუძლია პოლიტიკაში შემოსვლა მოწიწებით, მორიდებით, თავის დაკვრით... არა, რაკი ჩვენ მოვედით, ძაან დიდი დღეაო, ვეებერთელაო. კი, მაგრამ საიდან მოხვედი, სად მოხვედი, აგერ არ იყავი მიჩუმათებული?

ეეეჰ... ისევ იაღლიში, თანაც პირველივე წინადადებაში, თანაც ისევ იმნაირი. საქართველოსთვისო, იმედი მქონდა, გახარია რაღაც ორიგინალურს მოიფიქრებდა, ცოტა განსხვავებულს მაინც.

და კიდევ ერთი „საქართველოსთვის“? რამდენი პარტია შეიქმნა და უნდა შეიქმნას კიდევ, რა ამბავია? ამ წუთას საქართველოში 300-ზე მეტი პარტიაა დარეგისტრირებული და აქედან 200-ში „საქართველოა“ ჩაქსოვილ-ჩაწნული. მაგალითები გნებავთ? ინებეთ: ნინო ბურჯანაძის პარტიას ჰქვია „ერთიანი საქართველო“, კახა კუკავას პარტიას – „თავისუფალი საქართველო“, სერგო ჯავახიძის მოძრაობას – „სამართლიანი საქართველოსთვის“, მამუკა ხაზარაძისას – „ლელო საქართველოსთვის“, გიგა ბოკერიას რომ დარჩა – „ევროპული საქართველო“... ვინაიდან ყველა ამნაირი პარტიის თავმჯდომარის ვინაობა არ ვიცი, მხოლოდ ორგანიზაციების დასახელებებს მოგახსენებთ, ასევე არსებობს – „განახლებული საქართველოსთვის“, „გაერთიანება ბედნიერი საქართველოსთვის“, „წარმატებული საქართველო“, „საქართველო არ იყიდება“, „ჩვენი საქართველო“, „საქართველოს გზა“, „საქართველო მშვიდობისთვის“, „საქართველო გაბრწყინდება“, „მთლიანი საქართველო“, „მომავალი საქართველო“... კიდევ ბლომადაა, მაგრამ შევეშვათ, ნერვებს გავუფრთხილდეთ, ამჯერად მხოლოდ იმ პარტიებზე მოგახსენებთ, რომლებიც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდნენ.

ჰოდა, შენ, ბატონო გახარიავ, როდესაც ამდენი „საქართველოსთვისაა“ ე.წ. პოლიტიკურ სივრცეში, ახალი ვერაფერი მოიფიქრე, კაცო? ბოლო-ბოლო, საიდანაც წამოხვედი, „ქართული ოცნება“ როა, „დემოკრატიული საქართველოც“ არ ჰქვია?! გარდა ამისა, ერთი გამაგებინა, ეს ლოგო ვინ დაგიხატა, ვინ შეგიდგინა გრაფიკულად, „საქართველოს ფოსტის“ თანამშრომელია? ნახეთ, ხალხო, ბოლო-ბოლო, დაგუგლეთ, გახარიას პარტიისა და „საქართველოს ფოსტის“ ლოგოები ერთი-ერთზე ჯდება. სხვათა შორის, თვით გუგლის ლოგოს უფრო წააგავს გახარიას პარტიის ლოგო.

კარგი, დავანებოთ თავი ჩხირკედელაობას, როგორც ჩვენმა წინაპრებმა თქვეს, კაცია და გუნებაო, მოდით, გადავინაცვლოთ აკაკი წერეთლის გამზირზე, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ ერთ-ერთ პავილიონში, სადაც ბატონმა გახარიამ თავისი პარტიის პრეზენტაცია გამართა.

მაშ, ასე... გიორგი გახარია შენობაში ისე შევიდა, რომ მედიასთან არ გამოჩენილა. უკვე ადგილზე არიან ძმები არველაძეები, ფეხბურთელები, რომლებიც უარყოფდნენ, არა, რას ამბობთ, რა გახარია, რი გახარიაო? აგერ, ჩაირბინა შს მინისტრობისას გახარიას ყოფილმა მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა, სადღაც ეჩქარება.

„არ შეგარჩენთ 20 ივნისს“! „ანაკლიის პროექტის ჩამოშლა“! ასეთი ლოზუნგებით მიუხტნენ გიორგი გახარიას 20 ივნისს დაზარალებულები, რომლებიც იმ ღამეს რუსთაველზე ბალეტს ცეკვავდნენ და პოლიციელებმა დაარბიეს. თურმე პარლამენტის შენობაში შეჭრას არავინ ცდილობდა, უბრალოდ მოგვეჩვენა, სიზმარი იყო. სამოქალაქო აქტივისტებმა, ანუ ამ ქვეყნის უსაქმურთა პროლეტარიატმა გახარიას მიმართა, რომ ის ღამე მის კისერზეა! მეტიც, მას არ აქვს უფლება, პოლიტიკაში თავიდან მოვიდეს!

„გიორგი რუსი“! – გამოიტანეს ასეთი ლოზუნგიც. აშკარაა, სამოქალაქო აქტივისტები გახარიას მამუკა ხაზარაძემ მიუქსია, დადგა დრო, ჯავრი იყაროს!

უსაქმურ პროლეტარებს რაღაცნაირი მაისურები აცვიათ, ზურგზე აწერიათ: „ბიძინა, წადი,“!

წადიო... ამათ ჯერ არ იციან, რომ ბიძინა პოლიტიკიდან წავიდა. თუმცა, ალბათ უნდათ, რომ ქვეყნიდან წავიდეს, ასეთი დავალება აქვთ კიეველი „უმფროსისგან“! არ გამოვა მაი ამბავი, ბიძინა იყო, ბიძინა არის და ბიძინა იქნება. ამას ყველა უნდა შეეგუოს!

ვიღაცა გამოვიდა ისეთი სახით, ასი წელი რომ ვერ დაიმახსოვრებ. სხვათა შორის, გიორგი გახარიას პარტიის ერთ-ერთი მტკივნეული



თემა ისიც გახლავთ, რომ მის წევრებს რაღაცნაირი გაყინული სახეები აქვთ, უყურებ, თითქოს გესიმპატიურებიან, მაგრამ მარილი აკლიათ, ვერცერთს ვერ დაიმახსოვრებ. ეს კი პოლიტიკაში ძალზედ წამგებიანია. ჰოდა, იმან, რომ ვერ დაიმახსოვრებ, პარტიის თავმჯდომარის პოსტზე დამსწრე საზოგადოებას გიორგი გახარიას კანდიდატურა შესთავაზა. საზოგადოებამ დასცხო ხშირი ტაში. გახარია ფეხზე წამოდგა, ირგვლივ მიმოიხედა და ყველას თავი დაუკრა, საზოგადოებაც ფეხზე წამოდგა. ტაში 2 წუთს გაგრძელდა. ამ შეკრებაზე ასევე დაამტკიცეს პარტიის წესდება და დაუკრეს პარტიის ჰიმნი.

გიორგი გახარია: „დღეს ჩვენ ვერთიანდებით საქართველოსთვის, ვერთიანდებით საქართველოსთვის, მაგრამ არავის წინააღმდეგ. ჩემთვის და დარწმუნებული ვარ, ბევრი მოქალაქისთვის, აბსოლუტურად ნათელია, რომ დღეს საქართველოს სჭირდება ის გუნდი, რომელსაც შეუძლია სიმართლეს გაუსწოროს თვალი, რომელსაც შეუძლია და უნარი შესწევს სიმართლე უთხრას საქართველოს მოქალაქეს, უთხრას სიმართლე იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დღეს ქვეყანა დგას. რაც მთავარია, მოქალაქეებთან ერთად, მათი ჩართულობით, ქვეყანას შესთავაზოს წესრიგი, ოღონდ სამართლიანი წესრიგი. სამართლიანი წესრიგი არის ის სივრცე, რომელშიც შეგვეძლება ყველას ერთად, ჩვენი შესაძლებლობების შესაბამისად ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს და რაც მთავარია, ვემსახუროთ სახელმწიფოს. ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, სიმართლის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არ უნდა ვიცხოვროთ ილუზიაში. ხანდახან პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური ველი გვაცხოვრებს ამ ილუზიაში მაშინ, როდესაც პოლიტიკურ ძალებზე, პოლიტიკურ პარტიებს შორის კინკლაობა, ჩხუბი შეიძლება ვიღაცას ეგონოს, რომ ქვეყნისთვის რაიმე პროგრესის მომტანია, არა! სინამდვილეში კარგ შემთხვევაში ჩვენ ერთ ადგილს ვტკეპნით, ცუდ შემთხვევაში – ქვეყანა იხევს უკან“.

როგორ გითხრათ... კარგი სადღეგრძელოა!

ესე იგი, როგორც ბატონი გახარია ბრძანებს, ის შექმნის გუნდს, რომელიც მოვა ხელისუფლებაში და გვეტყვის სიმართლეს. დიახ, მხოლოდ მის გუნდს შეუძლია, გვითხრას სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა იმ გამოწვევებზე, რომელთა წინაშე ყოველი ჩვენგანი ვდგავართ. მეტიც, გახარია ამბობს, ისეთ გუნდს შევქმნი, „ყოლისფერს რომ დეინახავს, ყოლისფერს რომ შეამჩნევს და ყოლისფერს რომ მეისმენს“. ჰოდა, თუ ეგრეა, მაშინ პარტიისთვის „საქართველოსთვის“ კი არა, „ასინეთა“ უნდა დაერქმია, ფრიად გამართლებული უფრო იქნებოდა.

ხომ გითხარით, ამ დასახელების პარტია ბევრია-მეთქი? გუშანმა დასაწყისში ისიც მითხრა, ვიღაცა გამოჩნდება და დავიდარაბას დაიწყებს-მეთქი. აჰა, გამოჩნდნენ „საქართველოსთვის“ აქტივისტები, რომლებიც აცხადებენ, რომ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მათი ორგანიზაციის სახელი მოიპარა და თავის პარტიას დაარქვა.

„გიორგი გახარიასთვის მინდოდა სამი კითხვის დასმა – რატომ მოიპარა ჩვენი ორგანიზაციის სახელი, კითხვის დასმა მინდოდა ია კერზაიას საქმეზე და 20 ივნისის საქმეზე“, – აცხადებს მოძრაობა „საქართველოსთვის“ წევრი ლაშა ხუსკივაძე.

მე არ ვიცი, ვინა არის ლაშა ხუსკივაძე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამასაც მოპარული აქვს ეს დასახელება და ამასაც გამოუჩნდება მოდავიდარაბე.

დავუბრუნდეთ გიორგი გახარიას პრეზენტაციას. ყოფილი პრემიერის თქმით: „ნებისმიერი ჩვენი ახალი ხელისუფლება, პირველი რასაც აკეთებდა, დაბეჯითებით ანგრევდა მისი წინამორბედის დატოვებულ შთამომავლობას, იმისდა მიუხედავად, რამდენად გონივრული, ან კარგი იყო ეს შთამომავლობა“.

ოპააა... ბატონმა გახარიამ ქართულშიც გაჭედა, რას ნიშნავს წინამორბედის დატოვებული შთამომავლობა? იქნებ უნდა ეთქვა, წინამორბედის მიერ დატოვებულ საქმეებს ანგრევს ყველა მომდევნო ხელისუფლებაო? ნეტავ რა დაანგრია „ქართულმა ოცნებამ“ მისი ხელმძღვანელობით? თან ამტკიცებს, ეს იყო ყველაზე ძირითადი მიზეზი, ქვეყნის ერთ ადგილზე დგომისაო:

„ჩავთვალოთ, რომ ჩვენ, ყველანი ვაშენებთ სახლს, ჩავთვალოთ, რომ თითოეული ხელისუფლების ვალდებულებაა, ერთი სართული მაინც დააშენოს ჩვენი წინაპრების დატოვებულ ფუნდამენტს. ამ შემთხვევაში, ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ნებისმიერი ახალი ხელისუფლება, ყველანაირი გონივრულობის ფარგლების მიღმა, როდესაც იწყებს ნგრევას წინამორბედის დატოვებული შთამომავლობის, რა თქმა უნდა, ქვეყანას განვითარების პერსპექტივას უსპობს. ჩვენ იმის ტყვეობაში ვრჩებით, რომ უნდა ვიცხოვროთ მხოლოდ ერთსართულიან ქვეყანაში, ცათამბრჯენების ეპოქაში. რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის მიუღებელია“.

რა გითხრათ... თუ ამას მრჩეველი ჰყავს, მას სავარაუდოდ ჰქვია „წყალ-წყალა“... თუ მრჩევლები ჰყავს, მათ სავარაუდოდ ჰქვიათ „ტაშკუილები“. რატომ უტრიალებს საბედისწერო ორმოს გარშემო პატივცემული გახარია, რატომ ლამობს ამ ორმოში ჩახტომას და თავზე ნეხვის წაყრას? რატომ ცდილობს იმ ადგილის ამოქექვას, სადაც რამდენიმე თვის წინ თვითონ იჯდა და სულ სხვა რამეს ამტკიცებდა? არა, გასაგებია, რომ ყველა ადამიანს თავში აქვს „პლასტინკა“, რომლის გადატრიალებაც



არის ძალიან იოლი, მაგრამ ამ „პლასტინკას“ აქვს ერთი ბარიერი და ჰქვია ნამუსი. ჰო, „პლასტინკა“ შენია, გინდა გადაატრიალებ, გინდა – გადმოატრიალებ, მაგრამ ნამუსი? ნამუსს რას უშვრები, შე მუდრეგო?!

ჩვენაო, ყველანი ერთად უნდა შევთანხმდეთ, რომ გავერთიანდეთ განახლებისთვის. განახლებისთვის, რომელიც ყველაფერ ცუდს ეტყვის უარს, მაგრამ გაითვალისწინებს ყველაფერს კარგს, ყველა იმ თითოეულ აგურს, ჩვენი ქვეყნის შენებაში, რომელიც შეიძლება ჩვენი მოქალაქეებისთვის, მომავლისთვის იყოს საჭირო.

უკაცრავად, ეს ის გახარიაა, ცოტა ხნის წინ „ნაციონალებს“ რომ ემუქრებოდა, დაგამთავრებთო, თუ სხვა გახარიაა? ეგრე რამ გააკეთილშობილა, ეგრე რამ გააცისკროვნა და განაახლა, რომ უგულავასთან, ბოკერიასთან და მათნაირებთან ჩახუტება და მუხლის მოდრეკვა მოუნდა?

ვინ არიან გახარიას პარტიის პოლიტსაბჭოს წევრები? გიორგი ხოჯევანიშვილი, ნათია მეზვრიშვილი, გიორგი შარაშიძე, კახაბერ ქემოკლიძე, ანა ბუჩუკური, მიხეილ დაუშვილი, ბექა ლილუაშვილი, რუსუდან თევზაძე, ალექსანდრე მოწერელია, ბერდია სიჭინავა, შალვა კერესელიძე, კოტე ანანიაშვილი, გიგა ფარულავა და გიორგი გოგუაძე.

მე პირადად აქედან სამიოდე პიროვნება ვიცი, ისიც გონების დაძაბვით. ერთადერთი, ქუჩაში რომ შემხვდეს, ვიცნობ მხოლოდ ნათია მეზვრიშვილს, ისიც ხუჭუჭა თმით. ვნახოთ, ეგებ ამათაც მოიპოვონ საზოგადოებაში „ცნობადობა“ და გახდნენ ოდესმე ვარსკვლავები?!

გიორგი გახარიას ჰკითხეს, რატომ გადადექით რაღაცნაირად, ცოტა უცნაურადო? გადავდექი იმიტომ, რომ ერთ კონკრეტულ მომენტში, ჩემთვის სრულიად გასაგებად და აშკარად, პოლიტიკურმა პარტიამ მისი პარტიული ინტერესები დააყენა სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა. ეს იყო რეალური მიზეზი იმ ნაბიჯის, რომელიც მე გადავდგიო. ა, აურია ისევ... პირიქით იყო ეგ ამბავი, პირიქით, პარტიამ მიიღო სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება, ხოლო პრემიერ-მინისტრი დაფრთხა... შეიძლება არც დაფრთხა და რაღაც ინტერესი გაუჩნდა, რას გაიგებთ? ყოველ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრმა არ იაზროვნა სახელმწიფოებრივად. არაო, კაცო, თუ მელიას დავაპატიმრებთ, ეს გამოიწვევს ქვეყანაში კატაკლიზმებსო. შე კაი კაცო, „ხერხემალა“ ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებამ ვერ გამოიწვია ქვეყანაში კატაკლიზმები, მელია ვინ ჩემი ფეხებია?!

მეტიც, გახარია აკონკრეტებს: „გადავდექი იმიტომ, რომ 8 – წლიანი მმართველობის შემდეგ, მმართველი პარტია თავის თუნდაც ყველაზე დიდ მიღწევებს ადარებდა 10-15 წლის წინანდელ რეალობას და ამით განვითარების პერსპექტივას უკლავდა ჩვენს ქვეყანას. მე არ მეშინია არაფერზე საუბრის, რაც გამიკეთებია და რაში მონაწილეობაც მიმიღია და როგორც აქამდე გამიცია ნებისმიერი კითხვაზე პასუხი, ასე გავაგრძელებ. მე დღეს აქ ვდგავარ თქვენს წინაშე სრული აღქმით იმ პასუხისმგებლობის, რომელიც მეც მაკისრია ამ რეალობის შექმნაში. რა თქმა უნდა, მე ვარ ნაწილი იმ წარმატებისა და იმ წარუმატებლობის, რომელიც დღეს ქვეყანაში არსებობს“.

აი, ბოლოს ცოტაოდენ მაინც უგრძვნია, მე აქა ვდგავარ სრული აღქმით და სხვანაირად არ ძალმიძსო... ვგრძნობ პასუხისმგებლობას, რაშიც მონაწილეობა მიმიღიაო. პრინციპში, ესეც ჩვეულებრივი სადღეგრძელოა დიადი პასუხისმგებლობის თაობაზედ, საქართველოში მუდამ რომ იღებენ ხოლმე. თუმცა რა ფეხებად და ვისთვის იღებენ, ეს ყოველჟამს გაუგებარი რჩება. ჰმ... პასუხისმგებლობას ვიღებო, კაი ერთი, რააა!

რას ამბობენ ავი ენები გახარიაზე?

ავი ენები ამბობენ, გახარიას საქართველოდან გაქსუებული დავით კეზერაშვილი აფინანსებსო. ამაზე ქართულ მედიაში დაიწერა, მაგრამ ბატონ გახარიას არაფერი უთქვამს.

ავი ენები იმასაც ამბობენ, მისმა მეუღლემ, მარიკა ფანცულაიამ შარშან პარიზის მახლობლად **Le Perreux-sur-Marne**-ში ბინა შეიძინაო. ბინის ღირებულებად 472,400 ევრო არის მითითებული, ფართობი კი 83 კვადრატულ მეტრს შეადგენსო. ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, ექს-პრემიერის ოჯახმა საფრანგეთში უძრავი ქონება დანაზოგის მეშვეობით შეიძინა.

### გიორგი გახარიას გაბაასება ჟჟჟჟუუურრრრრ-ნალისტებთან!

გახარია: ჩვენ არ ვითანამშრომლებთ არავისთან, სადაც დავინახავთ რადიკალურ ქმედებებს.

ჟურნალისტები: ავ, ავ, ავ, აუუუუუ!

გახარია: თუ პოლიტიკურ პარტიას ვქმნი, რა თქმა უნდა, მონაწილეობას მივიღებ ყველა არჩევნებში.

ჟურნალისტები: ავ, ავ, ავ, აუუუუუუუუუ!

გახარია: დღეს ქვეყნის მთავარი პრობლემა არის სუსტი ინსტიტუტები, კორუფცია და ნეპოტიზმი!

ჟურნალისტები: ეეე... ეს ყველაფერი ვისი შექმნილია, ბატონო გიორგი, სამი წელი თქვენ არ იყავით პრემიერ-მინისტრი?!

გახარია: ბევრი რამე გაკეთდა, ჩემთვის კატეგორიულად და პრინციპულად მიუღებელია, რომ „ქართული ოცნება“ თავის წარმატებებს ადარებს 15 წლის წინანდელს. ეს არის ის, რაც ქვეყნის პერსპექტივას კლავს.

ჟურნალისტები: ბატონო გიორგი, ბიძინა ივანიშვილი არის თუ არა არაფორმალური მმართველი? ახლა მაინც გვითხარით, ხართ თუ არა ივანიშვილის პროექტი?

გახარია: არასოდეს არავისი პროექტი არ ვყოფილვარ და არც მომავალში ვიქნები.

ჟურნალისტებმა შეუკიკინეს ბიძინაზე, მაგრამ ვერაფერი ათქმევინეს. ისევ იმაზე ლაპარაკი ამჯობინა, ქვეყანაში კორუფციაა და ნეპოტიზმიც არიო... არადა, სანამ გადადგებოდა, პარლამენტში იძახდა, რა კორუფცა, ხალხო, რი კორუფციაო? შეიძლება ვიღაცამ ვიღაცას ჯიგრულ „პონტში“ რაღაცა გაუკეთა, ეგ რა კორუფციააო? გახსოვთ მისი ეს „მარგალიტები“, ხომ? ალბათ გახსოვთ.

მოკლედ, ამჯერად ამით დავამთავროთ... ვატყობ, ქართულ იუმორისტულ-ჯამბაზურ ე.წ. პოლიტიკურ სცენას კიდევ ერთი „ნიჭიერი“ მსახიობი შემოემატა და ჩვენც, რასაკვირველია, საწერი არ გამოგველევა. ამ ერთსართულიან საქართველოს „მრავალსართულიანი“ გახარია თუ უშველის, თორემ დავრჩებით „პადვალში“.

**გელა ზედელაშვილი**

555 48 48 61

# პოლიტპაფერისტები სააკაშვილის სახელობის ნიანგთსაშენიდან



— ჩვენთან არის ნამდვილი გმირი ნიკა მელია! — ასე წარუდგინა უკრაინის მოქალაქე მიშამ ფეისბუქმომხმარებლებს მელია, თუმცა ის არ დაუზუსტებია, რატომ არის გმირი, თანაც ნამდვილი, ნიკანორ მელია...

ეს პატივცემული მიშა, სანამ უკრაინის მოქალაქე გახდებოდა, მანამდე, როგორც მახსოვს, საქართველოს პრეზიდენტი იყო.

ხომ საინტერესოა, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, კანონის უზენაესობის გარანტი, რატომ და რა ნიშნით თვლის მოქალაქე მელიას გმირად?

რა ნიშნით თვლის და იმ ნიშნით, რომ მოქალაქე მელიამ აბუჩად აიგდო ქართული სახელმწიფო, ფეხებზე დაიკიდა კანონები, თავის მხარდამჭერებთან ერთად ოფისში გამაგრდა და დაუმორჩილებლობა გამოაცხადა.

აი, ეს არის ის საქციელი, რაც მელიამ ჩაიდინა და რის გამოც



ექს-პრეზიდენტმა სააკაშვილმა მას გმირის წოდება უბოძა.

თუ კანონდარღვევა გმირობაა, საქართველოს დაახლოებით იმდენი გმირი ჰყოლია, რამდენი კანონდამრღვევიცაა ქვეყანაში, რომელთა უმრავლესობა ციხეში ზის.

სააკაშვილის ლოგიკით გამოდის, რომ საქართველოში გმირებს იჭერენ და, იმის ნაცვლად, პატივით მოექცნენ, ციხეებში ყრიან.

მელიას გმირად გამოცხადება კრიმინალის წახალისება რომ არის, ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ გასაკვირია, როცა ამას აკეთებს ნაპრეზიდენტალი კაცი, რომელსაც კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნების და დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების ამბიციები აქვს.

თუ კანონის დარღვევა და კრიმინალის ჩადენა „გმირობაა“, საქართველოში ისეთი „გმირები“ გვყავს, მელიას გმირობა იმათთან რა მოსატანია?

ხომ არ გამოვაცხადოთ ისინიც პოლიტპატიმრებად და გმირებად, მერე ევროპარლამენტს მათი გრძელი სია წარვუდგინოთ და გირაოს გადახდა მოვთხოვოთ.

მათ რა დააშავეს, ისინი რით არიან მელიაზე და რურუაზე ნაკლები გმირები?

— ევროპარლამენტმა, რადგან მელიას გირაო გადაიხადა, ამით მისი პოლიტპატიმრობა აღიარაო, — ჟღურტულებენ ნაცები.

ვაი, თქვენ, თქვე ჭკუამრუდო ნაცებო, პირიქით არის ეგ ყველაფერი, პირიქით — ევროპარლამენტმა მელიას პოლიტპატიმრობა კი არა, ამ გირაოს გადახდით ის აღიარა, რომ მელია, დიდი ალბათობით, შესაძლოა, დამნაშავე იყოს, რომლის საქმის გამოძიება უნდა გაგრძელდეს და გრძელდება კიდევაც.

თუ ამნისტიამ არ მოუსწრო, სულაც არ არის გამორიცხული, მელია კვლავ ციხეში აღმოჩნდეს, ოღონდ არა 77 დღით, არამედ დიდი ხნით.

მოდით, ახლა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ შემდეგი სურათი: ის, რაც 20 ივნისს მოხდა, მოხდა არა „ქართული ოცნების“, არამედ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს და მელიამ ის „გმირობები“, რაც „ქართული ოცნების“ დროს ჩაიდინა, ჩაიდინა „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის ჟამს.

რას იზამდა მაშინ სააკაშვილი, — ნამდვილი გმირი ხარო, ეტყოდა მელიას და თავზე დაფნის გვირგვინს დაადგამდა, თუ ჯალათებს მიუგდებდა საწამებლად და გასაუპატიურებლად მასაც და მის აქტივისტ „ბოევიკებსაც“, როგორც ეს არაერთხელ უქნია.

სად იყო მაშინ „დემოკრატიისთვის მებრძოლი“ და „პატრიოტი“ მელია, როცა ეს ამბები ხდებოდა და სააკაშვილის დილეგებში უდანაშაულო ადამიანებს ყრიდნენ, ქუჩაში ხვრეტდნენ ან წამებით ხდიდნენ სულს?

სად იყო და მწამებლების და მკვლელების მხარეს იდგა, მათ ძალაუფლებას უმაგრებდა ზურგს, მათი ძალაუფლების ნაწილი იყო.

მელია ახლა მიამიტურად აფახულებს თვალებს და — მე გულწრფელი კაცი ვარ და გულწრფელად უნდა ვუთხრა ყველაფერი ჩვენს ძვირფას ამომრჩევლებსო, — ამბობს. თან ამ დროს თვალები მოუწყლიანდება, თითქოს ცრემლები აწვება შიგნიდან, იმდენად ალალი და გულწრფელი კაცია.

თუ გულწრფელი კაცი ხარ, მაშინ თვითონ მოჰყევი, სინამდვილეში ვინ ხარ, მელიავ, პატიება სთხოვე ქართველ ხალხს და გულწრფელად მოინანიე.

მაგრამ არ ხარ შენ ამის გამკეთებელი, პოლიტპატიმარო კი არა, შე პოლიტაფერისტო ნიკანორ მელიავ, შენ და შენი შეფი, მთავარი ნიანგი, ნიანგის ცრემლებით ცდილობთ ქართველი ხალხის მოტყუებას და ახლოს მიტყუებას, რომ მერე ერთბაშად უყოთ პირი და გადასანსლოთ.

თქვენ, ნაციონალები, პოლიტაფერისტები ხართ სააკაშვილის სახელობის ნიანგთსაშენიდან.

ეს არის სიმართლე და ამ სიმართლეს ვერსად წაუხვალთ, რამდენიც არ უნდა ისრისოთ თვალები, როგორც არ უნდა დაიწვრილოთ ხმა და რანაირი ჭრელაჭრულა ფრთებიც არ უნდა გამოგაბათ მხრებზე ფრთების დამამზადებელი „ცეხის“ დირეტორმა ნიკუტა გვარამიამ, თავად უფრთო „ანგელოზმა“, გაუპატიურებულ ოფოფს რომ ჰგავს.

**დავით ქავთარია**



# ორი გზა

## „შენ გზა მითხარი, ის გზა, რომელიც... ეს გზა მეც ვიცი, საითკენაც მიდის“



*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, გიორგი გახარიამ პარტია „საქართველოსთვის“ დააფუძნა. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მისი გამოსვლიდან, რისთვის ემზადება ყოფილი პრემიერი?**

— პრეზენტაციაზე ცხადად გამოჩნდა, რომ გახარიას პოლიტიკური გუნდი უარზე არ არის ხელისუფლება ჩაანაცვლოს. მას ხელისუფლების მთლიან ფლობაზე სრულიად მკაფიო პრეტენზია აქვს. აქედან გამომდინარე, „ქართული ოცნება“ და „საქართველოსთვის“ შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იგი ამბობს: არავისთან დაპირისპირებას არ ვაპირებო. პარტია შეიძლება არ დაუპირისპირდეს, მაგრამ თავად პოლიტიკა შეჯიბრია და დაპირისპირება, თავისთავად, მოუწევს. „ქართული ოცნება“ ძალიან ჯიუტად ამბობს: გახარია ვერაფერს დაგვაკლებსო. ჩნდება ეჭვი, რომ შეშინებულები არიან. ივანიშვილის სიტყვები მათაც ახსოვთ. აქედან გამომდინარე, აქვთ შიში, რომ ადამიანმა რომელმაც „ქართული ოცნება“ შექმნა, შეიძლება, დღეს, სხვაგვარი არჩევანი გააკეთოს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში აღარ არის.

**— გახარიამ განაცხადა: „ვერთიანდებით საქართველოსთვის, მაგრამ არავის წინააღმდეგო. ეს რას ნიშნავს?**

— ეს, ცოტა ღიმილის მომგვრელია იმიტომ, რომ პოლიტიკაში ყველა ერთმანეთის წინააღმდეგია. პოლიტიკა ასეთი მშვიდობიანი სფერო არ გახლავთ. პოლიტიკა მონასტერი არ არის. იქაც კი, იერარქიაა და სწორედ ამის შედეგად არის შედარებით მშვიდობიანი გარემო დამკვიდრებული. აბა, მონასტერში იერარქია არ იყოს. პატრიარქის სიტყვა გადამწყვეტი რომ არ იყოს, ანაფორიან ხალხს დიდი ხნის წინ ეყოლებოდათ ერთმანეთი დაჭმული.

**— ვისი ოპონენტი იქნება პარტია „საქართველოსთვის“, რა ნიშას დაიკავებს?**

— მგონი, მას, ერთდროულად, მოუწევს ყველასთან ოპონირება. ტელე-ეთერებიდან ჩანს: მას ერთნაირად უტევს ხელისუფლების მომხრე მედია-საშუალებებიც და ოპოზიციურიც. მანაც უნდა შეუტიოს. სიმართლე გითხრათ არ ველოდი, რომ ხელისუფლება გახარიას ასე აწყვეტილი მოწინააღმდეგე გახდებოდა. სხვათა შორის, ამ საკითხზე, ღარიბაშვილს საკმაოდ ზომიერი რეპლიკები ჰქონდა, განსხვავებით კობახიძისგან. „ქართული ოცნების“ ახალგაზრდა ფრთამ არამარტო პარტიული ინტერესები, არამედ ემოციებიც დააყენეს წინა პლანზე. მათ მიუხედავად ხელისუფლებაში 9 წლიანი ყოფნისა, პოლიტიკაში სიმწიფე არ ეტყობათ. ამ ემოციებით, ისინი, სწორედ გახარიას საქმეს აკეთებენ იმიტომ, რომ ერთ-ერთი ელექტორატი საიდანაც გახარიამ ხმები უნდა მიიღოს, გახლავთ ხალხი რომლისთვისაც მიუღებელია როგორც „ქართული ოცნება“, ისე „ნაციონალური მოძრაობა“. თუ ხალხმა დაინახა, რომ გახარიას ორივე უტევს, რა თქმა უნდა, ისინი ჩათვლიან, რომ მათთვის სასურველი კანდიდატურა სწორედ გახარიაა. ამიტომ, ვთვლი, რომ კობახიძის და ანალოგიური სტილის ახალგაზრდა პოლიტიკოსების თავდაუზოგავი შეტევა გახარიაზე, უპირველესად, ამ უკანასკნელის ინტერესებს წაადგება.

**— გახარიას გარდა, პოლიტიკაში სხვა ფიგურებიც გამოჩდნენ. ლევან ვასაძემ „ერთობა, რაობა, იმედი“ დააფუძნა. პერსპექტივა როგორია?**

— როგორც გახარიას, ასევე ვასაძის პოლიტიკაში შემოსვლას, მივესალმები. ორივე ფიგურა სხვადასხვა ორიენტაციისა და ამომრჩეველს განსხვავებულ პროგრამებს შესთავაზებენ. მათი სტილი რადიკალიზმი არ არის. კი, ვასაძე კომბლებს „ამზადებდა“, მაგრამ როგორც პიროვნება რადიკალური და აგრესიული არ არის. იგი ძალიან განათლებულია, რომელთან დისკუსიაც ყველას გაუჭირდება ისევე, როგორც გახარიასთან. ახალი პოლიტიკური ფიგურები სხვა პარტიებს, ძალაუნებურად, აიძულებენ მათთან დისკუსი ჰქონდეთ და არა ქუჩის აქციები გამართონ. ამ სიახლეს, მივესალმები. არის კიდევ ერთი





რამ: ქართველი პოლიტიკოსებისგან განებივრებული ვართ იმის ძახილით, რომ ევროპული ორიენტაციის არიან. ახლა კი, შემოდის ძალა, რომელიც ამბობს: არ ვარ ევროპაზე ორიენტირებული და ვთვლი, რომ რუსეთთან განსხვავებული პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთო. რთული პოზიციაა იმ მხრივ, რომ ეს უკვე სხვა პოლიტიკურ ძალებს აიძულებს ვასაძესთან იკამათონ. ანუ, ეს ფორმულა ავტომატურად აღარ შემოიტანონ როგორც ამას მიშა აკეთებდა: თუ ევროპისკენ ხარ, ულაპარაკოდ კარგია და თუ რუსეთისკენ — ცუდი. ასეთი სტერეოტიპული სტილის შემოტანა, ქართულ პოლიტიკას ცუდ სამსახურს უწევდა. ვასაძე ამ სტილს არ დაიცავს, შედეგად, სხვა პოლიტიკოსები ძალიან სერიოზული ამოცანის წინაშე დადგებიან. მათ მოუწევთ, ვასაძეს არგუმენტებით მოუგონ, რაც იოლი არ იქნება. მეორე მხრივ, ბევრი თვალსაზრისით, ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ევროპულმა ორიენტაციამ გაიმარჯვოს. ამიტომ, ქვეყნის ინტერესებშია ევროპული ორიენტაციის პოლიტიკოსებს ევროპაზე არამარტო ორიენტაცია ჰქონდეთ, არამედ ამომრჩეველში ამის კარგად დასაბუთება შეძლონ. ამის აუცილებლობას, უკვე, ვასაძე დააყენებს. იმიტომ, რომ რუსეთი ყოველთვის მუშაობდა და იმუშავებს იმაზე, რომ ქართველი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ევროპის მიმართ სკეპტიციზმი ჰქონდეს. ამას არგუმენტირებული პასუხი სჭირდება. თუ პასუხი არ იქნება, რუსეთის მცდელობა, მოსახლეობაში დასავლეთის მიმართ სკეპტიციზმი გააჩინოს, მიზანს მიაღწევს. მკაცრ უარს, ევროპაზე, არც ვასაძე ამბობს. ისიც ცდილობს თავის პოზიცია დისკუსიებში დაასაბუთოს. ასეთი ფიგურის გამოჩენა, ძალაუნებურად, გააქტიურებს რუსეთისა და დასავლეთის თემას. ჩვენი ერთადერთი, რეალური მოკავშირე დასავლეთია. ამავე დროს, რუსეთთან მოლაპარაკება აზრიანი არ იქნება იმიტომ, რომ მას არ უნდა ეს ყოველივე, შენთან საუბარი არფერში სჭირდება. ასეთი ძალის გაჩენის მერე კი, მან შეიძლება ჩვენთან ლაპარაკი მოისურვოს. მასთან მხოლოდ იმისთვის საუბარი რომ ვასიამოვნოთ, ზედმეტია. იმაზე უფრო ერთგული ქვეყანა როგორიც რუსეთისთვის სომხეთი იყო ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ როგორც კი რუსეთს, პოლიტიკური ინტერესებისთვის, სომხეთის შეწირვა დასჭირდა, ვნახეთ, რომ ასეც მოიქცა. ურთიერთობას, მისთვის, ფასი არ აქვს. ამ ფონზე, რუსეთთან ურთიერთობაზე მოწოდებები, როცა თავად მას ეს არ აინტერესებს, რაც ვასაძის ერთ-ერთი ხაზია, რა თქმა უნდა, პერსპექტივა არ ექნება. მაგრამ მეორე მხრივ, ვასაძე მოაზროვნე ადამიანია და ქართულ სპექტრს აიძულებს ამ თემაზე ილაპარაკოს. გახარიას და ვასაძეს დისკუსიის მაღალი კულტურა აქვთ, არცერთი არ გამოვარდება ქუცაში და არ დაიწყებს ფურთხებას, ძახილს: მონებო, მოღალატეებოო. ეს ნაცების სტილია, რასაც პოლიტიკასთან და საზოგადოებრივ აზრთან საერთო არაფერი აქვს. ამ ორი ძალის შემოსვლით ქართული პოლიტიკა, განვითარებისთვის კუთხით, უფრო საინტერესო, ცივილიზებული და შედეგიანი იქნება.

**— რაც შეეხება რუსეთთან მოლაპარაკებას, რამდენად მართებულია ოპოზიციის მიერ ამ საკითხის „მოგვარება“? თანაც, რუსეთმა ხომ გვითხრა: ვილაპარაკოთ ყველაფერზე, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის გარდაო.**

— კი ბატონო, ჩიხის ხაზი რომ არის, ეს ცხადია. 10-20 წლის წინ ქართველი და რუსი ექსპერტების შეხვედრა გაიმართა. წამყვანი თემა კონფლიქტი იყო. ქართველი ექსპერტების დიდი ნაწილი ამბობდა: საქართველო თქვენს გვერდით იქნება თუ ნაბიჯს გადადგამთ და ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენთო. სომეხმა პოლიტიკოსმა მიგრანიანმა ღიად თქვა: ჩვენ, თქვენი კეთილგანწყობა არ გვაინტერესებს, ბოლოსდაბოლოს გაიგეთ: საქართველო რუსეთს არ აინტერესებსო. მოლაპარაკება რაიმეს დათმობის კუთხით, უპერსპექტივოაო. წეღან, სომხეთის მაგალითი მოვიყვანე — იგი, პარტნიორი იყო, მაგრამ როცა რუსეთი ბაქოს შემოერთებით დაინტერესდა, სომხეთი გაწირა, რადგან იცის: იგი ისედაც მისი ერთგული იქნება. მთელი სომხური წარმოება ხელთ აქვს. ანალოგიურად აზროვნებს ჩვენთან მიმართებითაც. ამიტომ, იგი თავის თამაშს მაინც ითამაშებს. აქ, უკვე, დგება საკითხი: უფრო უპრიანი ხომ არ არის ის ნაბიჯები გადადგა, რაც რუსეთს არ უნდა, კერძოდ ევროპაში, ნატოში და ა.შ. მეტი სწრაფვა და რუსეთთან ამ ფონზე, ილაპარაკო და არა ამ კუთხით: იყავი კეთილი და მიწები დამიბრუნეო. აი, ეს საკითხები დგება რუსეთთან ურთიერთობაში. პოლიტიკოსმა საკითხი ამ ჭრილში უნდა დააყენოს. მოდი, რუსეთთან ვისაუბროთ, ამის ძახილი, საკმარისი არ არის. კი ბატონო, ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს ასეთი ვოიაჟები ჰქონდათ, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა, ხელთ არაფერი შეგვრჩება, რაც მას სწორედაც რომ აწყობს. იგი ცდილობს, ჩვენთან, პოლიტიკური ბურუსი შექმნას. დემაგოგიურ პასუხს იძლევა უკრაინის თემაზეც. ერთ-ერთი გამოსავალი შეიძლება ის იყოს, რომ მეტ-ნაკლებად, ძალის პოზიციებიდან იმოქმედო. ასე გადაწყვიტა სააკაშვილმაც, ოღონდ, მან უამრავი რამ ვერ გათვალა — პროცესი საკუთარ სამხედრო ძალაზე ააგო და შესაბამისი შედეგიც მიიღო. საკუთარი ძალები გადამწყვეტი არ არის. გავიხსენოთ, ერაყი ქუვეითში რომ შეიჭრა, რადგან იქ, მსოფლიო დიდი ქვეყნების ინტერესები იყო, მათ მიერ გამოქომაგებამ ქუვეითის ბედი გადაწყვიტა. ანალოგიურად, თუკი ჩვენ, მოვახერხებთ დიდი ქვეყნების ინტერესში მოვაქციოთ ჩვენი სიმშვიდე და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეს, სხვისი ძალის საფუძველზე განხორციელებული სტრატეგია იქნება. სხვა მოქმედების ალტერნატივა არ გაგვაჩნია.

**— თქვენ, არჩევნების დროს, ყოველთვის, აღნიშნავდით, რომ „ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა არ აქვს. ახლა, როცა პოლიტიკაში ვასაძე და გახარია შემოდიან, ქოცებს ხელისუფლებაში ყოფნის რესურსი ეწურებათ? როგორ ფიქრობთ, შეძლებს „ქართული ოცნება“ 43%-ის გადალახავს?**

— 43% თუ ვერ აიღეს, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას ჩამოშორდებაო, ეს ოპოზიციის შექმნილი ვერსიაა. რამდენად რეალურია, ესაა მთავარი. დღეს რომ არჩევნები ჩატარდეს, თუნდაც შემოდგომაზე, რეიტინგებიც ცხადჰყოფს: ოპოზიცია ხელისუფლებაში ვერ მოვა. გამოდის, ვადამდელი არჩევნების ჩატარება, თავად, ხელისუფლებას აწყობდა. უბრალოდ, რადგან ოპოზიციამ ვადამდელი არჩევნები გაყალბებას დაუკავშირა, ამიტომ თქვეს ამაზე უარი. ასე, გამოვიდოდა, რომ ეს ნაბიჯი გაყალბების აღიარებად ჩაითვლებოდა. რაიმე, სხვა მიზეზი რომ ყოფილიყო, ხელისუფლება განმეორებით არჩევნებზე სიამოვნებით წავიდოდა. ხელახალი არჩევნების შემთხვევაში, ოპოზიცია იმ ხმებსაც ვერ აიღებს, რაც ახლა აქვს. ანალოგიური მდგომარეობა იქნება მომავალშიც. ხელისუფლებამ ძალიან იოლი პირობა დააყენა: თუ 43% ვერ ავიღებ, განმეორებითი არჩევნები დავნიშნოთო. ამაზე დათანხმება, რაც ოპოზიციას თავის გამარჯვებად მიაჩნია, შეიძლება სწორედ ხელისუფლების გამარჯვება იყოს. ამ ვერსიას, რომ ხელისუფლება გაიმარჯვებს, დღეს, უკვე, მეტ-ნაკლებად ცვლის ახალი პოლიტიკური ძალები. ისინი თავიანთ ასაღებ ხმებს აიღებენ. ვასაძე, მინიმუმ, იმ ხმებს აიღებს, რაც ჩრდილში გადასულ „პატრიოტთა ალიანსს“ ჰქონდა. გახარია იმ ხალხის ხმებს აიღებს, ვისაც ამ პარლამენტისთვის უნდობლობა აქვს გამოცხადებული. მათი რიცხვი საკმაოდ დიდია თავად მმართველ პარტიაში. ასე, რომ ხმების გარკვეული რაოდენობა ამ პარტიებთან აღმოჩნდება. „ქართული ოცნება“ მათთან ორთაბრძოლისთვის მზად არ არის. საბრძოლო მანქანა, ვასაძის შემთხვევაში, იმ მიმართულებით ჩაირთვება, რომ იგი სკეპტიკურად არის განწყობილი ევროპის მიმართ. ამ ბრალდებას თუ წაუყენებენ, ეს, უკვე, წაგებული დისკუსიაა. არც გახარიასთან და არც ვასაძესთან, იდეოლოგიური კამათის ქმედითი ინსტრუმენტები, „ქართულ ოცნებას“, ჯერჯერობით, მომარაგებული არ აქვს. მათ, ამ ორ პარტიასთან ბრძოლა, საკმაოდ გაუჭირდებათ. გამორიცხული არაა, ამ ორმა პარტიამ ლომის წილი ითამაშოს იმაში, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 43% ვერ მოაგროვოს და ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს. აქ, უკვე, ძალიან სერიოზული ბრძოლა წავა ახალ ორ პარტიასა და სახელისუფლებო გუნდს შორის. დანარჩენი ოპოზიციური პარტიები, ვფიქრობ, მომავალ საარჩევნო მარათონში დიდათ წარმოდგენილი არ იქნებიან. „ნაცმოძრაობას“ კი ეყოლება თავის თაყვანისმცემლები, მაგრამ დანარჩენი პარტიები ძალიან მძიმე დღეში აღმოჩნდებიან, ფაქტობრივად, ნულთან გათანაბრებულნი იქნებიან. ამიტომ, დანარჩენი პარტიებისთვის გამოსავალი ერთია: ვადამდელი არევნები არ დაინიშნოს, რათა მეტხანს შეძლონ საპარლამენტო ცხოვრებაში მონაწილეობა. ასე, მესახება მომავალი. 2024 წლისთვის გამორიცხული არ არის ბიძინა ივანიშვილის ნატვრა ახდეს და დასახელებული ორიდან ერთ-ერთმა პარტიამ მმართველი ძალის როლი მოირგოს, „ქართული ოცნება“ კი აღმოჩნდეს სერიოზული, ოღონდ ოპოზიციური ძალა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# საქართველო – ქვეყანა, რომელსაც არსად ელიან

***გვესაუბრება უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი, დიმიტრი ლორთქიფანიძე:***

— მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სწრაფვა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის, ევროკავშირისკენ ძალიან სერიოზულ პოლიტიკურ კრახს განიცდის. სულ რამდენიმე დღის წინ ევროპარლამენტარმა ქალბატონმა მარინა კალიურანდიმ გააკეთა განცხადება: ქართველ მოსახლეობას არ უნდა ჰქონდეს ცრუ იმედი იმის შესახებ, რომ 2024 წელს საქართველო ევროკავშირში ინტეგრირებული იქნება. მსგავსი მზაობა, მოლოდინი ევროკავშირში არ გააჩნიათ. დიახ, ეს ფუჭი მოლოდინია და გაგვაფრთხილეს, რომ ამაზე არც კი ვიფიქროთ. ეს, რა თქმა უნდა, ცივი შხაპის ეფექტს იძლევა, განსაკუთრებით, იმ მოსახლეობისთვის ვისთვისაც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანება, ევროკავშირის წევრობა შეუქცევადი პოლიტიკური პროცესია. ჩვენ, მუდმივად უნდა ვაკაკუნოთ ევროკავშირისა და ნატოს კარზე და იმედი გვქონდეს, რომ კარს გაგვიღებენ. ამ ცრუ იმედების გადამკიდე, ჩვენ, ძალიან სავალალო ფაქტის წინაშე ვდგებით — ვკარგავთ ძირძველი ერით დასახლებულ სახელმწიფოს, თავისი ჰუმანიტარული რესურსებით. ჩვენ ვდგავართ შემდეგი ფაქტების — ოკუპაციის, სამუშაო ადგილების მკვეთრად შემცირების, მცირე და საშუალო ბიზნესის უკიდურესად გაკოტრების წინაშე. ადამიანები იძულებულნი არიან ქვეყანა დატოვონ და ემიგრაციაში წავიდნენ. ცოტა ხნის წინ, ჩვენ, საქართველოს სახელმწიფოს სახელით, ჩადენილი ტრეფიკინგის შემსწრე გავხდით, როდესაც აღმოჩნდა, რომ გერმანიაში უზრუნველყოფილი სამუშაო ადგილები, უბრალოდ, დაქირავებული მუშისთვის მონური ექსპლუატაციის ასპარეზია და არა რეალურად, დასაქმების ადგილი. იქ, მარწყვის საკრეფად ჩასული ქართველი მოსახლეობა, უბრალოდ, მონური შრომის პირობებში ჩააყენეს. ეს არის გამოსავალი? — ქართველი ხალხი საქართველოს ფარგლებს გარეთ გავიდეს, იქ, იმუშაოს და საქართვერლოს ბიუჯეტი შეავსოს. ეს არის ქვეყნის მომავლის, მისი აწმყოს დაცინვა და დიადი წარსულის უპატივცემულობა. ყოვლად დაუშვებელია: არ შევქმნათ ჩვენი ინდუსტრია, ეკონომიკა და სხვა ქვეყნების ეკონომიკაში შეტანილი წვლილის საფასურად გადმოგდებული გროშების სანაცვლოდ გვქონდეს ილუზია, რომ ჩვენი კეთილდღეობა სტაბილიზაციას განიცდის. ეს ერის შეურაცხყოფაა.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— გამოსავალი შემდეგია: პრაგმატული, სწორად დასახული ამოცანების გზით არტერიების გათავისუფლება მოვახდინოთ, რათა სისხლის მომოქცევამ ორგანიზმში ცირკულაცია თავისუფლად შეძლოს. დღეს, რუსეთის ფედერაციასთან ჩვენი სრული იზოლაციური დამოკიდებულება, დაახლოებით, იგივეა, რომ ადამიანს, თავის ტვინის მომარაგების გზაზე, ყველა, ძირითადი, არტერია გადაკეტილი ჰქონდეს, ორგანიზმი ფართხალებდეს და დაღუპვის ზღვარზე იმყოფებოდეს. ყოველგვარი უტრირების გარეშე ვამბობ: რუსეთი არის ისტორიული, გეოგრაფიული ვრცელი ტერიტორია, სადაც ჩვენი, ეკონომიკური საქმიანობა საუკუნეების მანძილზე ხორციელდებოდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღესდღეობით, საქართველო ჩვენს რეგიონში, ფაქტობრივად, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც საგარეო-პოლიტიკური სწორი მიმართულება არ გააჩნია. მას არ ელიან არც ევროკავშირში, არც ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში. არც იმის სურვილს ვიჩენთ, რომ ევრაზიული კავშირის მიმართულებით ვიფიქროთ და ვართ ასე ეული, ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყივით. ჩვენი, საგარეო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს აღემატება. ქვეყანა, მალე, შეიძლება ბანკროტად გამოცხადდეს და ჩასატარებელი გახდეს მთელი რიგი მტკივნეული სოციალური რეფორმები, მათ შორის, საჯარო



მოხელეთა საშტატო ერთეულების შემცირება, საპენსიო უზრუნველყოფის საკითხების გადახედვა და ა.შ.

**— ამ ფონზე, ერდოღანის მიერ გაჟღერებულ ინიციატივას როგორ შეაფასებთ?**

— თურქეთის პრეზიდენტის მიერ გაჟღერდა ინიციატივა, რაც რეგიონის მოთამაშეების გარკვეული ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესების განხორციელებას გულისხმობს რეგიონისვე სტაბილიზაციისა და მშვიდობის მიზნით. ეს მოთამაშეები გახლავთ: რუსეთი, თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის უკიდურესად მწვავე დაპირისპირებაა, პირველად მრავალი ათწლეულის განმავლობაში სომხეთს უჩნდება შესაძლებლობა გამტარი სახელმწიფოს ფუნქციის როლი მოირგოს. საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საჯაროდ განაცხადა სამშვიდობო პლატფორმის — ერთიანი კავკასიის შესახებ, რომელიც სამეზობლო ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის გზით მისი პოლიტიკური კრიზისების მოგვარების შესაძლებლობას გულისხმობს. აქ, საუბარია ოკუპირებული ტერიტორიებისა და დეოკუპაციის საკითხზე, რაც სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს. ვინაიდან, გამწვავებული პოლიტიკური კრიზისი მცირე ერებს — აფხაზებსა და ოსებს კარგს არაფერს უქადის. მათ ან რეალობას უნდა გაუსწორონ თვალი, რომ საქართველოს ერთიანი შემადგენელი ნაწილი არიან, ან მათ, უბრალოდ, აღარ ექნებათ შესაძლებლობა მსოფლიოს წინაშე სახელმწიფოს სახით წარდგნენ. ეს არის თამაში, რომელსაც დასასრული აქვს. მათი შენახვა რუსეთის სახელმწიფოს გარკვეული თანხა უჯდება. უფრო და უფრო მცირე დრო რჩება იმისთვის, რომ მათ კეთილდღეობაზე და მათი „სუვერენიტეტის“ განმტკიცებაზე ვინმემ იფიქროს. ერთადერთი გამოსავალი აფხაზებისა და ოსებისთვის, პოლიტიკური გეო-სტრატეგიული მდგომარეობიდან გამომდინარე, ქართულ სახელმწიფოში ინტეგრირება რჩება. 1997 წელს ევგენი პრიმაკოვის უშუალო ძალისხმევით თბილისში ჩამოვიდა ბაღაფში, 2004 წელს კი შამბა, არძინბა და ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხზე შევარდ-



ნაძესთან სერიოზული შეხვედრა გაიმართა. ეს ქვეყნის სასიკეთოდ დამთავრდებოდა რომ არა ამერიკელების მკაცრი პოზიცია: ახლა, არ არის დრო, რომ საქართველო ამ პროცესს ბოლომდე მიჰყვესო.

**— როგორ ფიქრობთ, რა უნდა დასავლეთს საქართველოსგან?**

— დასავლეთს არ აწყობს სუვერენული, ძლიერი სახელმწიფო, სადაც რუსეთის გავლენისა და მასთან უშუალო ოპერირების შედეგად, საქართველო შეძლებს თავისი პოტენციალი წარმოაჩინოს. რატომ? — იმიტომ, რომ საქართველო როგორც ტერიტორია, დასავლეთის თვალში, ყოველთვის, რუსეთთან დაპირისპირების სერიოზულ პოლიგონად განიხილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ, 3 მილიონნახევრიან ერს ევროკავშირის, ნატოს, უშუალოდ, აშშ-ს მხრიდან, ასეთი სურათის არსებობის შემთხვევაში, გვექნებოდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური მხარდაჭერა, ასევე, საინვესტიციო პროექტები, რაც ქვეყანას ფეხზე დააყენებდა. თუ იკითხავთ: რა ინვესტიციები შემოდის აშშ-დან, ნახავთ, რომ მსგავსი არაფერი ხდება გარდა ლუგარის ლაბორატორიისა, რომელსაც აშშ-სთვის სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია არამხოლოდ საქართველოში, არამედ რამდენიმე პოსტ.საბჭოურ ქვეყანაში. მეორე ინვესტიციაა „თელასი“, რომელიც შემდეგ რუსეთმა შეიძინა. ამის იქეთ, აშშ-დან არავითარი პირდაპირი ინვესტიცია არ განხორციელებულა. ისმის კითხვა: რატომ? — იმიტომ, რომ როგორც გითხარით: აშშ და ევროკავშირი საქართველოს, როგორც მისი გავლენის ზონას, არ განიხილავენ. ევროპარლამენტარი ქალბატონის მიერ გაკეთებული განცხადებაც იმის თაობაზე, რომ ჩვენ, ევროკავშირში





არ გველოდებიან, ქრონიკულში გადაზრდილი უარია. საქართველოს არაფერი აღარ შველის: არც ჩვენი „აისაფის“ პროგრამაში ყველაზე დიდი კონტრიბუცია. აშშ და ევროკავშირი ძალიან კარგად აცნობიერებენ, რომ რუსული ინტერესები, ერთი მხრივ, გულისხმობს ახლო აღმოსავლეთში საკუთარი ინტერესების განმტკიცებას. ცოტა ხნის წინ ასეთი ფაქტის წინაშე დავდექით: სირიაში რუსული ფაქტორი რომ არა, ეს კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი იქნებოდა. რუსეთმა თავისი ინტერესების დაცვა მოახერხა. რაც მთავარია ყარაბაღში პირდაპირ შეაჩერა, ერთი მხრივ, თურქული ექსპანსია და მეორე მხრივ, განამტკიცა თავისი როლი ამიერკავკასიაში. რუსეთმა პირველად ისტორიაში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე საკუთარი მუდმივმოქმედი ბაზები შექმნა იმგვარად, რომ ამით შეძლო გაეკონტროლებინა როგორც აზერბაიჯანის, ისე მეზობელი სომხეთის ტერიტორია, სადაც ისედაც გააჩნია თავისი, რამდენიმე ბაზა. ამ დროს, ჩვენი საქართველო უკარება ბავშვივით არის — ვერც მარცხნივ მიდის, ვერც მარჯვნივ და საბოლოო ჯამში, ამ გეოპოლიტიკურ ჭიდილში მოასპარეზე ზესახელმწიფოებს შორის, ბოლო ლუკმასავით არის. იმედი მაქვს, ქართულ პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებების გზით, აუცილებლად, შევძლებთ დავძრათ ის მკვდრადშობილი წერტილი, რის გამოც ზარალდებიან არამხოლოდ დღევანდელი, არამედ მომავალი თაობებიც.

**— საქართველო ჩიხშია. ახლა, აზსენეთ, ვერც მარცხნივ მივდივართ და ვერც მარჯვნივო, როგორ მოვიქცეთ?**

— კი ბატონო, ჩიხში ვართ. ნამდვილად, ძალიან რთული ვითარებაა. კარგად დავინახეთ: ბელორუსის რესპუბლიკაზე შტურმი დამთავრდა იმით, რომ მისმა პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, სრული ავტოკრატია დაამყარა, არაფერს აღარ ერიდება და ქვეყნის ინტერესებს საკუთარი შეხედულებისამებრ იცავს. კარგად ცნობილი სპეცოპერაციის მერე, მალევე, ბელორუსისა და რუსეთის პრეზიდენტები ერთ მაგიდასთან დასხდნენ და გულახდილი საუბარი, გარკვეულ საკითხებზე მოლაპარაკება გამართეს. აქვე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოსა და ბელორუსს შორის საუკეთესო დიპლომატიური ურთიერთობები არსებობს, რაც ჩარჩო ხელშეკრულებებით არის განმტკიცებული. აქ, არის მთელი რიგი სახელშეკრულებო დებულებები, მათ შორის, ინფორმაციის გაცვლისა და შენახვის საკითხები. თუკი ბელორუსსა და რუსეთს შორის საბოლოო სამოკავშირეო ხელშეკრულება დაიდება და იგი, პრაქტიკულად, ერთ სახელმწიფოდ გამოცხადდება, ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოსა და ბელორუს შორის დაადებული ხელშეკრულებები ძალიან პოზიტიურად აისახება ქართულ-რუსულ მოლაპარაკებებზე და ამ პროცესში, ერთგვარ, კატალიზატორის როლსაც ითამაშებს. ვგრძნობ, რომ ქართულ-რუსული მოლაპარაკებების პროცესი არ არის შორეული პერსპექტივა და აუცილებლად, ძალიან მალე ყინული დაიძვრება, შედეგად ვისაუბრებთ ქართულ-რუსული ურთიერთობების გადატვირთვაზე და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე. ღრმად მწამს და მჯერა, რომ ეს არის სრულიად ამოხსნადი პოლიტიკური ამოცანა. იმიტომ, რომ ამ ანკლავების დიდი ხნით გაჩერება, თავად რუსეთის ინტერესებშიც არ შედის.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24






# ჩარფუზანა ქართულად

სხედან და ყბედობენ... როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე, ჩარფუზანა აქვთ გაბმული.

ადრე „ჩარფუზანა“ მეც კახური სიტყვა მეგონა. თურმე წმინდა წყლის ქალაქური მოვლენა ყოფილა და ნიშნავს ალიაქოთს, ორომტრიალს, მიეთ-მოეთს, აბრაკადაბრას.

რაღა დაგიმალოთ, ეს სიტყვა თავისი ჟღერადობით ხან სპარსული მგონია, ხან ოსმალური, ხან კიდევ არაბული. არ ვიცი, შეიძლება ქართულია, მაგრამ მე ეგრე მგონია... ბოლოს და ბოლოს, ხომ მაქვს ჩემი აზრის გამოთქმის უფლება? ბოლოს და ბოლოს, ვერ გავიგე, ამ ქვეყანაში შერჩევითი სამართალია? თქვენ ხომ გამოთქვით თქვენი „კომპეტენტური“ აზრები ჯერ პანდემიისა და შემდეგ ჰესების თაობაზედ? აი, სწორედ იქ მივედი, საიდანაც უნდა დამეწყო, ჩარფუზანამდე. სხედან ჩამოტარებით კაკო ბობოხიძეები, გია ხუხაშვილები, იაგო ხვიჩიები, ლევან თარხნიშვილები, თამარ ჩერგოლეიშვილები (რომელი ერთი ჩამოვთვალო?), ლაშა ჩხარტიშვილები, იმგენი, ამგენი, იმნაირები, ამნაირები და მსჯელობენ (ლაქლაქებენ) ჰესებზე. არც ერთი არ არის ჰესთმცოდნე, არც ელექტრიკოსი, არც ენერგეტიკოსი, არც მეწყლე, არც მენაკადულე, არც არაფერი, მაინც მსჯელობენ, ტვინებს იჭყლეტენ, თითებს იშვერენ, თვალებს ატრიალებენ, ყურებს ათამაშებენ, გეგონება ეს საკითხიც ზედმიწევნით ესმით.

ტელევიზორში აქვთ ჩარფუზანა გამართული, თანაც ჩამოტარებით, ხაშლამასავით (ცუდი შედარებაა, სად ხაშლამა, სად კიდე ესენი?), ჩართავ, ესენი ყბედობენ, გადართავ – ესენი ყბედობენ, გადმორთავ – ესენი ყბედობენ. ყველგან ესენი არიან, აქეთ ხუხა, იქით ბუკა, მერე „ტრუხა“, ბოლოს კუკა. ბოლოს-მეთქი. ჰმ... რა ბოლოს? ამათ ყბედობას, ამათ ჩარფუზანას დასასრული არ უჩანს. თავიანთი ჭკუით, ლაპარაკობენ, ბჭობენ, განიცდიან, გულის ფიცრებზე მჯიღებს ირტყამენ, ბრძნულ რაღაცებს ამბობენ – აგერ, მამუკა ხაზარაძემ დაწერა თავის „ფეისბუქგვერდზე“, როცა ავაშენოთ, არ ავაშენოთო. ვერაფერი გაიგეთ, ხომ? აგერ ფაქტი, არც არაფერი მომიგონია, არც არაფერი მიმიმატებია (სტილი დაცულია):

„როცა ავაშენოთ“ მიტინგები აჯობებს „არ ავაშენოთ“ მიტინგებს, მაშინ ქვეყანა დაიწყებს აღორძინებას. **P.S.** ანაკლიის გაჩერება ასე არავის გაუპროტესტებიაო“!

გაიგონეთ? როცა იასო, მაშინ ესაო, ანუ აისერი, მაისერი და მისერიო. განა ანაკლია რო არ ამაშანებინეთ, მე კი არ შემეძლო მიტინგების ჩატარებაო? იქნებ მიტინგებმა აჯობოს კიდევაც, რა იცითო? ისე, ანაკლიის გაჩერება რატო არავინ გააპროტესტაო? ეხლა მთლად ბოლომდეც ნუ მენდობით, ხაზარაძის აბდაუბდა წინადადებებიდან მე თვითონ გამომაქვს დასკვნები, ალბათ ამას და ამას გულისხმობს-მეთქი, თორემ შეიძლება სულაც არაფერს გულისხმობს... შეიძლება გაგლეჯილი მთვრალი იყო და ეგრე დეეწერინა.

უამრავი უცნაური აზრი მოვისმინე ამ ნამახვანჰესთან დაკავშირებით – ზოგი ისეთი, თავად მთქმელმაც რომ არ იცის, რა იბოდიალა. ჩავუჯექ ბოლო ერთ კვირას ჩარფუზანას, მარტო ტელევიზორში რომ მიდის და დავასკვენი: აი, ამიტომ, სწორედ ამიტომაც გვჭირს, რაც გვჭირს და რატომაც ვცხოვრობთ დაღრეცილად. მოდით, დავანებოთ თავი იმას, რა წერია თურქულ (ენკაა თუ ენკი-ბენკი) კომპანიასთან დადებულ ხელშეკრულებაში, რომელმაც ჰესი უნდა ააშენოს, ჩვენ ვილაპარაკოთ მორალზე, წესსა და საქმისადმი მიდგომაზე. ჩვენ გვეუბნებიან და ამის თაობაზე მთავრობამაც განაცხადა, სანამ ჰესის მშენებლობა დაიწყებოდა, კომპანიამ მოსახლეობისგან მიწები შეისყიდა, ამ საქმეში 30 მილიონი დოლარი დახარჯაო, სულ 280 ოჯახიაო.

მეგობრებო!

რამდენად მორალურია, რამდენად ადამიანურია, რამდენად ჯდება ჩვენს წესსა და ადათში, როცა შენს კერძო საკუთრებას ჰყიდი, ფულს იტყაპუნებ, მერე გამოდიხარ და აპროტესტებ, ჰესი არ უნდა აშენდესო. რათა, კაცო, იმიტომ არ უნდა აშენდეს, რომ რუსებს ასე უნდათ? კიდევ კარგი, ცხონებულმა კომუნისტებმა









ენგურჰესისა და ჟინვალჰესის აშენება მოასწრეს, თორემ ახლა მთლიანად ვისხდებოდით რუსულ ჭრაქზე.

არ უნდა აშენდესო, ეგეთი ხოში გვაქვსო, ფული კი ავიღეთ, საკუთარი მამულები კი გავყიდეთ, მაგრამ ჰესი მაინც არ უნდა აშენდესო, აცხადებენ ნამახვანელები, ანუ რიონის ხეობელები.

მაშ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, რა გავაკეთოთ?! – ვეკითხებით ამათაც და იმათაც, ანუ ხელისუფლებასაც და პროტესტანტებსაც.

ისინი იძახიან, სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს ხელშეკრულება, 30 მილიონი დოლარი უნდა დაფაროს ბიუჯეტმა, თან მიწები უკან დაუბრუნდეთ მფლობელებსო.

კი, მაგრამ ეს ხომ უდიდესი ვირეშმაკობაა, რომლის მსგავსიც მსოფლიო ისტორიასაც კი არ ახსოვს? ჰო, თან არ დაგავიწყდეთ, სასწრაფო წესით უნდა გადადგეს ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავაო!

დიახ, ეს არის უდიდესი ვირეშმაკობა, რომლის მსგავსიც დედამიწის ისტორიას არ ახსოვს, მაგრამ მაინც ეგრე უნდა გაკეთდეს, 30 მილიონი ბიუჯეტიდან გადაიხადეთ, თურქულ კომპანიას 400 მილიონი დოლარიც გაუსტუმრეთ ჯარიმის სახით, ვინც კი ხელშეკრულებასთან ახლოს ჩაიარა, ყველა დააპატიმრეთ და ეკონომიკის მინისტრიც ზედ მიაყოლეთო. აეს იქნება სამართლიანობის აღდგენა, ამი დედა კი ვატირეთო!

მოკლედ, სხედან და ყბედობენ... როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე, ჩარფუზანა აქვთ გაბმული ტელევიზორში. არ არიან სპეციალისტები და მაინც ყველაფერი იციან. აი, მაგალითად, ლაშა ბუღაძე გამოიყვანეს მეთუთუნე ავთოს ტელევიზიაში („ტვ პირველი“) და ეკითხებიან: ბატონო ლაშა, თქვენ ჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეებს, მხარს უჭერთ თუ არაო? არა, ნუ, ეხლა, ჰესები უნდა აშენდეს, ორი აზრი არ არი, მაგრამ მოწინააღმდეგეებსაც მხარს ვუჭერო. ეს როგორ, ისინი ხომ რუსულ საქმეს აკეთებენო? მივარდა პირში თამარა ჩერგოლეიშვილი. უი, კი, თამარ, შეიძლება რუსულ საქმეს აკეთებენ, მაგრამ მაგათ მხარს იმიტომ ვუჭერ, რომ ბიძინა ივანიშვილი და საერთოდ, „ქართული ოცნება“ პრორუსული ორიენტაციისანი არიანო. ეხლა მთავარია, ვარლამ გოლეთიანმა პუტინის ხალხი არ მიიწებოსო. უკვე მიიწება, ლევან ვასაძე მართავს მანდ სიტუაციასო, არ გაჩერდა ჩერგოლეიშვილი. ჰო, თამარ, მაგრამ ლავუაზიეს კანონის თანახმად, თუ ჩვენ მხარს დავუჭერთ იმათ, ზიანს მივაყენებთ ამათ... თუ მხარს დავუჭერთ ამათ, ზიანს მივაყენებთ იმათ, გესმის, რაში მდგომარეობს საქმის კაკალგულში წვდომის არსიო? ვერაო, მიუგო თამარამ, ვერ გავიგე, რეებს ლაპარაკობო, თან იმას ამბობ, თან ამასო. აი, საქმეც მაგაშია, რომ თან ის უნდა ვთქვათ, თან კიდე ესა, სწორედ ამაში მდგომარეობს დიდი ისტორიული მუღამიო.

ბატონო ლაშა, დიდი მადლობა, პატივი რომ დაგვდეთ და გადაცემაში მიიღეთ მონაწილეობაო, დაემშვიდობა „ჭუტავიზიის“ წამყვანი, რომელიც აზრზე არ იყო, რაზე ლაქლაქებდა ე.წ. მწერალი ბუღაძე. მწერალი არა, ჩემი ფეხები, რაფერი აბდლური ბოდიალიც ზეპირსიტყვიერად იცის, იმნაირივე ლიტერატორი გახლავთ მხატვარ გია ბუღაძის ბიჭი. რა მხატვარიც მამამისია, ეგეთივე მწერალი გახლავთ ლაშანდრე მიქანთაააარეეეეე... უკაცრავად, საერთოდ, ჩვევა მაქვს ასეთი, დეგენერატებს რომ ვუყურებ, სიმღერის ხასიათზე ვდგები ხოლმე.

ლაშა მეორე, ანუ ჩხარტიშვილი ამ შემთხვევაშიც „ორიგინალურია“, თვალებს ატრიალებს რაღაცნაირად, თითქოს მრავალმნიშვნელოვნად და... ჰამო, ჰოოო, თუ რამე გაიგოთ, თავი დამაჭერით. ბიძინაო... ბიტკოინებიო... ჰესიო... კვლევაო... დაიღუპაო... დაიქცაო... გასკდებაო... წყალი წამოაო... ჩავიძირებითო... ბიძინას ჩვენი ჩაძირვა უნდაო. მეტიც, დასკვნები თუ არ დაიდო, ეგრე არ გამოვაო, გასკდება ეგ ჰესი და დავიხრჩობითო. ჩხარტიშვილის უვიცობა იქით იყოს, ხშირად გამიგონია, ჟინვალჰესი რომ გასკდეს, თბილისს 15 მეტრით წყალი დაფარავსო. ეგ კიდევ არაფერი, თუ ენგურჰესი გასკდა, მთელ სამეგრელოს წაიღებსო. ჯერ ერთი, საქართველოში და მგონი მსოფლიოშიც გამსკდარი ჰესი არავის უნახავს, მეორეც – თუ აშენდება, ისე უნდა აშენდეს, რომ თბილისი ან სხვა ტერიტორია წყლით არ დაიფაროს. ნათქვამია, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო? ისე, ჩვენმა მოპროტესტე ჯგუფებმა თუ იციან, სომხებს ჩვენს მეზობლად უზარმაზარი ატომური ელექტროსადგური რომ აქვთ წამოჭიმული? მსგავსი სადგური კომინისტებს ჩვენთან რომ აეშენებინათ, აქამდე ცხრაჯერ იქნებოდა დაკონსერვებული. თუმცა, ღმერთმა ნუ ქნას, სომხურმა სადგურმა გაჟონოს, მთელი კავკასია გასახიზნი გახდება ციმბირის ტრამალებში. ჰოდა, რაკი საშიშია ატომური ელექტროსადგური, რატომ არ ვაპროტესტებთ?!

სომხეთი იქით იყოს, მაგათ თავიანთი გასჭირვებიათ, მე ისევ იქა ვარ, სადაც სრული „ბალაგანია“... სრული „ბალაგანი“!

სხედან და ყბედობენ... ჩარფუზანა აქვთ გაბმული!

მეტი საქმე არ მიუცია ამათთვის ღმერთსა, არც არასდროს ჰქონიათ. პრინციპში, კოჭი ალჩუზე უზით, მაგითა სჭამენ პურსა და მაგითა ცხოვრობენ ხოშიანად.

ჰესები უნდა აშენდესო... კიო, პროგრესი საჭიროაო... მაგრამაო, „ქართულმა ოცნებამ“ არ უნდა ააშენოსო, ჩვენ რომ მოვალთ, მერე უნდა აშენდესო, ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი ფულებს იპარავენო... თუ არ იპარავენ, მოიპარავენ, ყოველ შემთხვევაში, არ ვენდობითო.

ჰა, ჰა, ჰა!

დილიდან საღამომდე ყბედობენ... პანდემიაზე მორჩნენ, ამჯერად ჰესებზე. არც ხელშეკრულება აქვთ წაკითხული, არც ექსპერტების აზრი აინტერესებთ, არც სპეციალისტებს უსმენენ, თვითონ ყველაფერი იციან.

ფუჰ!

იციან კი არა, სრული „ბალაგანია“... უვიცთა დოღი!

რომ სთხოვო, განცხადებას ვერ დაგიწერენ უშეცდომოდ... „თხა და გიგოზე“ ვერაფერს გეტყვიან... წიგნს დამარცვლით წაგიკითხავენ, წინადადებას თითს გააყოლებენ.

ჰა, ჰა, ჰა!

ამ დროს ყველაფერი იციან, ამ ჩემის გადანგრეულებმა!

იციან არა, იხვის ტოლმა!

ამათში ყველაზე ჭკვიანი მაინც კაკო ბობოხიძე გამოდგა, ადრე ვარგარეთელი ქართველებიც გვირიცხავენ ფულსაო, ჩვენი აქციები დღეში 50 ათასი ლარი ჯდებაო. საღოლ, არც ისეთი გულუბრყვილო ყოფილა ვარლამი, დღეში 50 ათასი კაი ფულია.

იბოდიალეს „გოროდში“ ჰესის მოწინააღმდეგეებმა, ვერც ხელშეკრულება გააუქმებინეს ხელისუფლებას, ვერც ნათია თურნავა გადააყენეს. იფიქრეს, აქ ძაან ბევრი შეკითხვები იბადება, არ ღირსო, ადგნენ და გაბრუნდნენ უკან, ხეობაში.

გაბრუნდნენ და... ეკვეთნენ, ვითარცა უხორცონი, პოლიციის მიერ აღმართულ ბარიერებსა. როგორც ამბობენ, პირველივე ღამეს იმდენი ურტყეს შიშველი ხელები თუნუქის ზღუდეებს, არნახული შტურმის შემდეგ გამთენიისას ჩასძინებიათ. მეორე, მესამე, მეოთხე და შემდგომ დღეებშიც იგივე ჰქნეს, მაგრამ არაფერი.




თოფ რო ისროდა და ეხლაც თოფი სროლა რო უნდა. ავაშენოთო, კაცო, შეიძლება გამოგვადგესო. თუ არ გამოგვადგება, დავშალოთ და გავყიდოთო, რა პრობლემააო?

ვინც ამათ აყბედებს, ისინი მთლად ვერ არიან... ათასი სისულელე გადმოდინდება ხოლმე მაგათი პირიდან. არაო, ჰესები უნდა აშენდეს, მაგრამ ჯერ არაო, ჩვენ რო მოვალთ, მერე, ამათ არ ვენდობითო!

ჰესი უნდა აშენდესო.

დიახ, უნდა აშენდეს!

თუ რამე დარღვევაა, უნდა გამოსწორდეს, მაგრამ უდიდეს ვირეშმაკობას ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ერთხელ მივქარეთ, ხუდონჰესი არ ავაშენებინეთ (არ ააშენებინეს) და ძალიანაც მივქარეთ.

ამოცანა გვეკითხება: საქართველო წყალს მიაქვს, როგორ შეიძლება, დენს ვყიდულობდეთ?

არ შეიძლება, მაგრამ ფაქტია, რადგან ჭკუას ლაშა ჩხარტიშვილებსა და მისნაირებს ვეკითხებით!

რას აკეთებს ამ დროს ხელისუფლება, ვინ გამოჰყავს ამ სპეციფიკური თემის ასახსნელად? სამწუხაროა, მაგრამ თითქმის ისევ ჩხარტიშვილის მსგავსნი. სად არიან ამ დარგის სპეციალისტები? ზოგიერთი წამოაყრანტალებს ხოლმე ტელევიზორში, აღარ არიანო. არიან, შეიძლება შემცირდნენ, მაგრამ მაინც არიან. გამოიყვანოს ხელისუფლებამ სპეციალისტები, ქართველი ენერგეტიკოსები და ალაპარაკოს!

●

ვარლამი ჩამოვიდა დედაქალაქში თავის მომხრეებთან ერთად. ვიზუალურად არა უჭირს, მაგრამ აშკარად დიდ გაუგებრობაშია მოხვედრილი. რესპუბლიკის მოედანზე რომ დასცეს კარვები, ააგეს სცენა და გამოვიდა სიტყვით, პირველივე წინადადებაში დაუშვა საბედისწერო შეცდომა... ხვალ 12 საათამდე ეძლევა ვადა ხელისუფლებას, ხელშეკრულება გააუქმოს, თურნავა გადააყენოს და საერთოდ აღძრას სისხლის სამართლის საქმეო. ხვალ 12-მდე, გაიგონეთო? თუ არ შეასრულებს ჩვენ მოთხოვნებსა, პარალიზებას ვუზამთ მთელ თბილისსაო, გადავკეტამთ და გადმოვკეტამთ მთელ „გოროდსაო“. აი, ეს სიტყვები იყო თავხედური, მოუზომავი, იქედნური და საბედისწერო.

ხელისუფლებამ დაიკიდა და სწორადაც მოიქცა!

სამი თუ ოთხი დღე იბოდიალეს „არაჰესელებმა“, ხან სად გადაკეტეს ქუჩა, ხან სადა. თბილისის მაცხოვრებლებმა დაიწყეს დედის გინება... იქით გაჭირვებული შეწუხდა, აქეთ სასწრაფო დახმარების ბრიგადები გაიჭედა, ქალაქში ისედაც საცობებია, ეხლა შენი ხუშტურიკები გვინდა კიდევაო? ეგრე სად არიო?!

ვარლამი სანჩო პანსას მაგონებს, დონ კიხოტი ჯერ არ ჩანს, როსინანტიც აკლიათ. თბილისში მოსთხოვეს, ერთი „დაკუმენტები“ წარმოადგინე, საიდან ფინანსდებიო? ხალხი გვაფინანსებს, საზღ-

სხვათა შორის, თუნუქის ბარიერებზე ლომგულ შეტევებს რომ ვუყურებ, ცესკოზე თავდასხმა მახსენდება, შენობაში შეჭრა რომ უნდოდათ და არ გამოუვიდათ. ვფიქრობ, ერთი ხელწერაა, ამ ყველაფერს ერთი „სასტავი“ მართავს. ასევე მსგავსებას ვხედავ 20 ივნისის ღამესთან, პარლამენტში შეჭრას რომ ლამობდნენ და ახლა იძახიან, დაგვარბიესო. პირიქით იყო, კი არ დაარბიეს, პოლიცია თავს იცავდა. აღარ გახსოვთ? დავიჯერო, მარტო მე და ვახტანგ ხარჩილავას გვახსოვს?!

გაიხსენეთ ის ღამე... და სხვა ღამეებიც, 30 წლის განმავლობაში რომ გამოვიარეთ!

**გელა ზედელაშვილი**

555 48 48 61

# მარქსიდან და ენგელსიდან სოციალურად დაუცველის სტატუსამდე და უკან...

საქართველოს პარტიები ემატება და ემატება, მაგრამ ამით საქართველოს რა ხეირი, გარდა ახალი შარისა და ახალი დავიდარაბისა.

ამ კვირის ბოლოსთვის, თუ არ ვცდები, 230 პარტია იყო საქართველოში, მომავალი კვირიდან უკვე 232 იქნება.

232 პარტია ამ ხუთმილიონიანი მოსახლეობისთვის ძალიან ბევრია-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ ზუსტად არავინ იცის, რამდენი ადამიანი ცხოვრობს საქართველოში — 5 მილიონი? 4 მილიონი? 3,5 მილიონი?

ვთვლით, ვთვლით და ვერაფრით დავთვალეთ.

ჩინეთმა მოახერხა თავისი მილიარდიანი მოსახლეობის დათვლა, პაკისტანმაც, ინდოეთმაც, მაგრამ ჩვენ დღემდე ვერ შევძელით მათთან შედარებით ამ ორი კინკილა კაცის დათვლა — ხან ცოტა მეტი ვართ, ხან ცოტა ნაკლები, ხან — რაღაც შუალედურ ციფრს ვასახელებთ.

232 პარტია — 232 განსხვავებული პლატფორმა, 232 განსხვავებული იდეა, ერი ამ 232 პარტიას რომ გამოეკიდოს, ორასოცდათორმეტად უნდა გაიყოს, ორას ოცდათორმეტი განსხვავებული გზა უნდა აირჩიოს.

ასე რომ, რაც უფრო მეტი პარტია იქნება ქვეყანაში, მით უფრო დავშორდებით ერთმანეთს.

არადა, დაშორება კი არა, ყველაზე მეტად შეერთება და ერთიანობა გვჭირდება.

რაღაც ისეთი საერთო ლოზუნგი გვჭირდება, თავის დროზე პროლეტარებს რომ ჰქონდათ — პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ქართული პროლეტარიატი გვყავს, მაგრამ ლოზუნგი არ გვაქვს.

არადა, ლოზუნგის მოფიქრება სულაც არ არის ძნელი, ვთქვათ, ასეთის: პროლეტარებო, საქართველოისავ, შეერთდით!

232 პარტიიდან ერთს არ მოაფიქრდა, ქართული პროლეტარიატის საკმაოდ მრავალრიცხოვან





კონტინგენტზე ემუშავა, 232-დან ყველა დემოკრატიას აშენებს, ყველას თუ არა, ყოველ მეორეს სახელწოდებაშიც კი სიტყვა „დემოკრატია“ აქვს ჩასმული.

არადა, ეს დემოკრატია არც იჭმევა, არც ისმევა, ვერც ფეხსაცმელად გამოიყენებ, ვერც ტანსაცმელად მოირგებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველას დემოკრატიაზე უჭირავს თვალი, ქართული პროლეტარიატი კი უპატრონოდ არის მიგდებული.

ერთხელ, ერთადერთხელ სცადა ერთმა კაი კაცმა პროლეტარებისთვის ყურადღება მიექცია და ღარიბების პარტია დააფუძნა, თუმცა მხარდამჭერები ვერ მოიზიდა და ბოლოს სამი ზომის ძეხვის დამზადება დაიწყო — ერთი მოკლე იყო, ერთი საშუალო სიგრძისა და ერთიც — ძალიან გრძელი.

მართალია, ამით ღარიბებს არაფერი ეშველა, მაგრამ თვითონ კი ძალიან გამდიდრდა.

— რას აიჩემეთ ეს პროლეტარები? არ გვყავს ჩვენ, ქართველებს, პროლეტარები! — იწყენენ, ალბათ, თავმოყვარეობაშელახული ქართველები და მართლებიც იქნებიან — არ გვყავს ჩვენ პროლეტარები, ჩვენ გვყავს სოციალურად დაუცველები.

სოციალურად დაუცველი! — ხედავთ, რა სხვანაირად ჟღერს?

თქვენ ის უნდა ნახოთ, როგორი სიამაყით წარმოსთქვამს ამ სიტყვას ქართველი — მე სოციალურად დაუცველი ვარ, ბატონო, რასაა, რომ მიბედავთ, რა პროლეტარი, რისი პროლეტარი, ბოლოს და ბოლოს, ამდენი და ამდენი ქულა მაქვსო, — თავმომწონედ გეტყვის, თითქოს მის სახელზე ბარად ზვრები და ყანები შრიალებდნენ, მთაში კი ცხვრის ფარები დაუდიოდეს.

400 000-მდე სოციალურად დაუცველი გვყავს, ერთი ამდენი კიდევ სოციალურად დაუცველის „დიპლომს“ ითხოვს, მაგრამ პროლეტარები მაინც არ გვყავს.

ეგღა გვაკლია, რომ ჩვენ, ქართველებს, პროლეტარები გვყავდეს.

კარგად რომ დაუკვირდე ჩვენს გაჯახირებულ ყოფას, ერთ უცნაურ აღმოჩენამდე მიხვალ — ვიარეთ, ვიარეთ, ვიარეთ და ისევ იქ დავბრუნდით, კარლ მარქსთან და ფრიდრიხ ენგელსთან, რომლებიც ირწმუნებოდნენ, პროლეტარიატი კაპიტალიზმის მესაფლავეაო.

კი, ერთი სამოცდაათი წლით კი დაასაფლავა პროლეტარიატმა კაპიტალიზმი, მაგრამ იქ, საფლავშიც ცოცხალი იყო ეს შეჩვენებული — ამოანგრია საფლავი და თავისი დამმარხველი ახლა თვითონ დამარხა, თანაც ისე ღრმად, იმის ამოთხრას შეიძლება ბევრი წელი დასჭირდეს.

ისე, კაცმა რომ თქვას, ახი არ არის ამათზე, რაც სჭირთ და რა დღეშიც არიან?

განა თვითონ არ „გაუჩალიჩეს“ საკუთარ თავს ეს ყველაფერი?

არ მოგწონდათ რძე და ყველი? ჭამეთ ახლა მაწონი!

**დავით ქავთარია**



# ვინც ფლობს საქართველოს, ის ფლობს კავკასიას. ვინც ფლობს კავკასიას, ის ფლობს ახლო აღმოსავლეთს

*გვესაუბრება იბერიულ-კავკასიური მოძრაობის დამფუძნებელი ბესო მიქავა.*

**— ბატონო ბესო, თქვენ არაერთხელ გისაუბრიათ ჩვენს მკითხველებთან მოსალოდნელ დაპირისპირებაზე ისრაელ-პალესტინას შორის. კონფლიქტი, მართალია, მიწყნარდა, მაგრამ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, რამდენად გვეხება ეს პრობლემა ჩვენ?**

— მივესალმები „საერთო გაზეთის" მკითხველებს და კვლავ გეტყვით, რომ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები სპონტანური არ ყოფილა. ის იყო წინასწარ დაგეგმილი, მაგრამ, მოდით, შორიდან დავიწყოთ.

ეს კონფლიქტი მეორე მსოფლიო ომის პერიოდს უკავშირდება.

გერმანია მეორე მსოფლიო ომში რომ ჩაერთო, არ იყო მაინცა და მაინც ძლიერი სახელმწიფო. ის I მსოფლიო ომში დამარცხებული გახლდათ. ეს მშვენივრად იცოდა ჰიტლერმა, მაგრამ მაინც წამოიწყო მსოფლიოს დაპყრობის ყოველ დროში განუხორციელებელი ავანტურა. დაიპყრო ქვეყნები, დაბომბა დიდი ქალაქები, მათ შორის,





ლონდონიც, თუმცა იმ ერთჯერადი დაბომბვის მერე ინგლისისკენ არც კი გაუხედავს. სტალინისთვის ცხადი ხდებოდა, რომ ჰიტლერის უკან, შეიძლება, სწორედ დიდი ბრიტანეთი მდგარიყო, სადაც მთელი ებრაულ-მასონური თუ სიონისტური, რაც გინდათ, დაარქვით, ფინანსური რესურსები იყო თავმოყრილი და ჩერჩილმაც ებრაული ფულით ჰიტლერს ისევ ებრაელები ახოცვინა.

სტალინის ინტუიციით, ეს კონგლომერატი, მოსალოდნელი იყო, დიდ საფრთხედ დამუქრებოდა მსოფლიოს და, კერძოდ, საბჭოთა კავშირს და 1948 წელს გაეროს შესთავაზა კენჭისყრა: დევნილ ერს, რომელსაც 2000 წელიწადია, სახელმწიფოებრიობა არა აქვს, სახელმწიფო შევუქმნათო. ამ წინადადებამდე სტალინმა ებრაელებს ავტონომია დაუარსა საბჭოთა კავშირის შორეულ აღმოსავლეთში, რომლის დედაქალაქია ბირობიჯანი.

გაერომ აღიარა ებრაული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ბენ ჰურიონმა ამის შემდეგ გამოაცხადა სუვერენიტეტის შესახებ. იმ პერიოდშივე გამოცხადდა იერუსალიმი საერთაშორისო ქალაქად, ხოლო დედაქალაქად — თელ-ავივი.

ამ ხანებში ხდება სწორედ პალესტინელებსა და ებრაელებს შორის დაპირისპირება.

მოგეხსენებათ, ისრაელის დღევანდელ ტერიტორიაზე არსებობს ტირიის მეფე ჰირამის მიერ აშენებული სოლომონის ტაძარი, სადაც ქადაგებდა მაცხოვარი. სოლომონის ტაძარში იზრდებოდა ღვთისმშობელი დაბადებიდან 12 წლამდე.

სწორედ სოლომონის ტაძარი არის დღეს მუსლიმთა უდიდესი სიწმინდის ომარის მეჩეთის ქვედა სართულზე.

ებრაელებმა რამდენიმეჯერ შესთავაზე მუსლიმებს, რომ თავად, თავიანთი ძალებით გადაუტანდნენ მეჩეთს იქ, სადაც მოისურვებდნენ, რადგან ებრაელების ოცნებაა, სოლომონის ტაძარი მესამედ აღადგინონ.

სოლომონის ტაძრის აღდგენისთვის საჭიროა, ომარის მეჩეთი იქნას გადატანილი, ამიტომ ისრაელმა, არ ვიცი, როგორ და რა ხერხებით, შეძლო, რომ ამჯერად პალესტინის მხრიდან წამოსულიყო აგრესია და არა უშუალოდ ისრაელის მხრიდან პალესტინის მიმართულებით. როგორც ხედავთ, სინამდვილეში, საქმე სულ სხვანაირად იყო, იმის მიუხედავად, რომ მთელი მსოფლიო ხედავდა, რომ პალესტინიდან ისროდნენ ჭურვებს.

დაახლოებით ანალოგიური ხდება თურქეთშიც — აია-სოფია, რომელიც ერდოღანმა ამასწინათ ვიღაცების წაქეზებით მეჩეთად გამოაცხადა, სხვის მიწაზე მდებარეობს. ის მიწა დღეს არ გახლავთ კონსტანტინეპოლი.

აია-სოფია უდიდესი ქრისტიანული სიწმინდეა. იქ იოანე ნათლისმცემლის თავია დაკრძალული.

**— მე პოლიტიკური კუთხით განხილვაზე ვამახვილებდი ყურადღებას ჩემს შეკითხვაში და მივადექით რელიგიურ თემას, შეიძლება, ეს ლოგიკურიცაა, ამიტომაც მაინტერესებს მოვლენები, რომლებზეც ისაუბრეთ, ხომ არ უკავშირდება რომელიმე წინასწარმეტყველებას?**

— დიახ, არსებობს წინასწარმეტყველება, რომლის შინაარსი ასეთია: როდესაც იერუსალიმის ტაძარი აღდგება, იმ ტაძარში დაჯდება მესია, რომელიც თავს გამოაცხადებს მსხნელად და ის იქნება ანტიქრისტე.

ეს საკითხი ბევრ ასპექტს მოიცავს და ძალიან არ ჩავუღრმავდები. მხოლოდ ერთს ვიტყვი: ახლა ხშირად გაიგონებთ, რომ უკვე ბოლო ჟამია და ქრისტე მეორედ მოვა. არადა, ქრისტე მეორედ არ მოვა, სანამ იერუსალიმში ანტიქრისტე არ დაიდგამს ტახტს.

**— საქართველოს რამდენად ეხება ისრაელ-პალესტინის საკითხი?**

— ცნობილია, რომ, ვინც ფლობს საქართველოს, ის ფლობს კავკასიას. ვინც ფლობს კავკასიას, ის ფლობს ახლო აღმოსავლეთს.

საქართველო და ისრაელი ტერიტორიულად არცთუ ისე შორს არიან ერთმანეთისგან, ამას გარდა, თუ საქართველოში ანტისემიტური, ანტიებრაული განწყობები ჩამოყალიბდა, მერწმუნეთ, ძალიან ცუდად წაუვა საქმე ისრაელს.

მაგრამ ამასობაში სხვა ფაქტორები იკვეთება. ყველამ ვიცით „იგილის" მოქმედებების შესახებ, რომელსაც მხარში ედგა ერდოღანი.

გაიხსენეთ, როგორ გვემუქრებოდნენ „იგილის" ყაჩაღი ბოევიკები ქართველებს თავების დაჭრით და ქვეყნის განადგურებით.

**— ბატონო ბესო, ეს „იგილის" ხალხი რატომ გვემუქრებოდნენ მხოლოდ ჩვენ, მსოფლიოში სხვა ქრისტიანები არ არიან, რატომ ცდილობდნენ ჩვენს, ასე ვთქვათ, დაჩაგვრას?**

— რადგან მუსლიმანური სამყაროსთვის საქართველოს ტერიტორია ისრაელის საწინააღმდეგოდ საკმაოდ ხელსაყრელია, ამიტომ ჩვენ უნდა დაგვჩაგრონ, გაგვანადგურონ და დაგვაბეჩავონ.

საქართველო ხელსაყრელია მრავალმხრივ, ამიტომაც არის, ირანელები, თურქები და სხვები აქ მიწებს რომ ყიდულობენ და დღემდე გრძელდება ეს პროცესი.

**— მაგრამ არა მხოლოდ მუსლიმებზე, ტერიტორიები, ზოგჯერ, ევროპის ქვეყნების მოქალაქეებზეც სხვისდება.**

— კორუმპირებული ჩინოვნიკები ქვეყნის ინტერესებს და ტერიტორიას არაფრად თვლიან, თუმცა გავაგრძელებ: ჩვენ დღეს ვდგავართ ისტორიული ფაქტის წინაშე — ადრეც მითქვამს და კიდევ გავიმეორებ — თურქეთის სახელმწიფო განწირულია დასანგრევად.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის პარალელურად, მალე თურქეთშიც დაიწყება შეიარაღებული წინააღმდეგობები.

ამასწინათ თურქეთმა რუსეთს შესთავაზა, ისრაელს ომს გამოვუცხადებ, თუ თქვენც მხარს დამიჭერთო.



ერდოღანს, ეტყობა, მის ირგვლივ ყველა სულელი ჰგონია და ეს მას ძალიან ცუდად შემოუბრუნდება.

აქვე ნამოხვან ჰესის საკითხსაც ვახსენებ, რომელიც კავშირშია ამ მოვლენებთან — რუსეთი და თურქეთი შეთანხმებული იყვნენ: თუ თურქეთი გამოვიდოდა ნატოდან, მაშინ რუსეთი მას დაეხმარებოდა დასავლეთ საქართველოში გაბატონებაში.

ნამოხვან ჰესი მხოლოდ ჰესისთვის არ შენდება. ის ისეთი ტერიტორიაა, რომ ხეობაში ერთი პატარა აპარატურის დადგმაც კი საკმარისია, რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები გამოირთოს.

ამას უკავშირდებოდა აფხაზეთის და ცხინვალის ოკუპაციაც, რადგან საქართველოდან საშიშროება მოდიოდა ნატოს ბლოკში გაერთიანების, რაც რუსეთს პირდაპირ სამხედრო საფრთხეს უქმნიდა და უქმნის.

**— მოდი, კვლავ მეზობელ თურქეთს დავუბრუნდეთ. როგორც თქვენ ბრძანებთ, მას დაშლის საფრთხე ემუქრება. თქვენი ვარაუდით, მას მეზობლები გაინაწილებენ თუ ახალი კონგლომერატი შეიქმნება?**

— ერდოღანმა გადაწყვიტა ოსმალეთის იმპერიის აღდგენა. იმპერიისა, რომელიც ნახევარ რუსეთს მოიცავდა, ყირიმი, ყაზახეთი და მეტიც, იერუსალიმიც ჩვენიაო, ამბობდა. მისი აზრით, მთელი ახლო აღმოსავლეთი თურქეთისაა.

21-ე საუკუნეში არავინ დაუშვებს ახალი იმპერიის შექმნას. ეს, უბრალოდ, აბსურდია. ამიტომ, ქმედებებიდან გამომდინარე, უკვე კარგად ჩანს, რომ, იქ, სადაც ჯერ არს, გადაწყვეტილია თურქეთის ბედი, ხოლო თურქეთის ტერიტორიას იმთავითვე ჰყავს თავისი მეწილეები, მფლობელები — ბერძნების სახით, ქურთების სახით, ქართველების სახით, სომხების სახით, მაგრამ თუ საქართველო კუბოს კარამდე მიჰყვება ერდოღანს, თავის ტერიტორიებს ვეღარ დაიბრუნებს და საკუთარიც არც არაფერი დარჩება.

ყველა მიიღებს ყველაფერს თავისი დამსახურებების და პოზიციების მიხედვით. ჩვეულებრივი ამბავია ეს.

ევროპა ამ სიტუაციაში, ყველანაირად შეეცდება, სტრატეგიული ხმელთაშუა ზღვა მას დაუბრუნდეს...

**— მაგრამ, ბატონო ბესო, ილიკოს და ილარიონის დიალოგისა არ იყოს, ირანი რას შვრება, რატომ დუმს ის თურქეთის ასეთ ინიციატივებზე?**

— მასაც აქვს პრეტენზიები ისრაელის მიმართ, მაგრამ ერდოღანმა დაასწრო ყველას აიასოფიას მეჩეთად გადაკეთებით, მან ამ ნაბიჯით თავი ისლამისტების სულიერ ლიდერად გამოაცხადა. ირანი ახლა უყურებს, როდის დაემხობა ერდოღანთან ერთად სუნიტური თურქეთი და მერე დაიწყებს მოქმედებებს.

**— ამ დღეებში საქართველოს ამერიკელი სენატორები ეწვევიან, ხომ არ უკავშირდება ეს სტუმრობა თქვენს ნათქვამს: ვინც საქართველოს ფლობს, კავკასიის პატრონი ხდებაო, ანუ მუდმივი კონტროლი ხორციელდება, რათა „სხვაგან" არ გადავიხაროთ ჩვენი ინტერესების სასარგებლოდ?**

— რუსეთმა თავად გადაწყვიტა კავკასიის საკითხი, თავის დროზე, როცა ჩეჩნეთი მიწასთან გაასწორა და საქართველოს ტერიტორიები წაართვა. ამ საქმეში ჩაერია ამერიკა-ევროპა და საქართველო იქცა ძლიერი სახელმწიფოების საჯიჯგნ ობიექტად. ახლა, როცა ახლო აღმოსავლეთში პრობლემები გამწვავდა, საქართველოს საჭიროება კვლავ გამოიკვეთა.

მე ინფორმაციებს არავინ მაწვდის, მაგრამ საკუთარი ანალიზიდან გამომდინარე, ვფიქრობ. კერძოდ, ამერიკამ გამოაცხადა, რომ 2022 წლისთვის 88 მილიონ დოლარს გადმორიცხავენ საქართველოსთვის და როგორმე თუ შეძლეს და საქართველოში ნატოს, ანუ თურქული ჯარი შემოიყვანეს, როგორც თურქეთზე, ასევე საქართველოზე სრულ ძალაუფლებას მოიპოვებენ რუსეთის საწინააღმდეგოდ. ასე რომ, თურქეთის ბედიც საქართველოზე ჰკიდია დღეს და არა მხოლოდ თურქეთის, არამედ მთელი მუსლიმანური სამყაროს მომავალიც საქართველოზეა დამოკიდებული. ეს, შეიძლება, დღეს ასე არ ჩანდეს, მაგრამ, დამერწმუნეთ, მალე თვალნათელი გახდება ყველაფერი.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# რატომ დუმს ეკლესია მაშინ, როცა განგაშის ზარებს უნდა არისხებდეს?!



***ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან, მამა ბასილ მკალავიშვილთან***

**— მამა ბასილ, რას ფიქრობთ თქვენ: დმანისში მომხდარ დაპირისპირებას პოლიტიკური სარჩული შეიძლება ჰქონდეს?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა.

ჩვენთან არს ღმერთი!

თავიდანვე გეტყვით: რაც მოხდა დმანისში, არავითარ რელიგიური დაპირისპირების შედეგი არაა. ეს არის სპეციალურად მოწყობილი „ნაცმოძრაობის“ მიერ.

დღევანდელი რეალობით „ნაცმოძრაობას“ ისე აქვს ფესვები გადგმული დასავლეთიდან შემოჩეჩებული კოჰაბიტაციის წყალობით, ისე არიან გათავხედებულნი, გაბოროტებულნი, რომ ყოველგვარ ავანტურაზე მიდიან. რა ქაოსიც სუფევს დღეს ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში სარწმუნოების, იდენტობის საწინააღმდეგოდ, ყოველივე „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა ნამუშაკევია.

თავს ნუ მოვიტყუებთ, საქართველო დასავლეთისა და უკეანისგაღმელთა კოლონიაა, რომელთა გარეშე ჩვენ ხელსაც კი ვერ გავანძრევთ. მათი მიზანია შეფარულად, ლამაზი სიტყვებით ამოშანთონ ჩვენს მეხსიერებაში ღირსეული წარსული, მართონ აწმყო და სოროსისეული გეგმებით გაგვიმზადონ სავალალო მომავალი.

ვინც კი ბიძინა ივანიშვილმა ფეხზე დააყენა, 0%-იანი პარტიის წარმომადგენლები, პარლამენტის წევრობას რომ ეღირსნენ, ყველანი მოღალატენი აღმოჩნდნენ.

წარსულში ჩემი ინტერვიუებით მუდმივად ვამბობდი: ივანიშვილმა უნდა ჩამოიშოროს მოღალატენი-მეთქი. არ შეისმინეს და შედეგი სახეზეა. ეს ეგზალტირებულნი, შურით, ბოღმით აღვსილნი, ვითომ ოპოზიციონერები, ერთმანეთსაც ვერ იტანენ, მხოლოდ ერთი რამ აერთიანებთ: სამშობლოს სიძულვილი, ღალატი და დაბეზღება. ესენი არიან ქვაბ-ავაზაკთა ბანდა, თუმცაღა გასაკვირი არაფერია, სატანაც აჩენს საცეცებს, ისიც ზეობს, მაგრამ დროებით.

სააკაშვილის ჩამოსვლას ელის გონებადაბნელებული მისი სექტის წევრები. ასე იყო გასული საუკუნის 90-იან წლებშიც, შევარდნაძის მიერ პროვოცირებული საშინელი არეულობა რომ შეიქმნა ქვეყანაში, მახსოვს, იძახდნენ: თუ გვიშველის შევარდნაძე გვიშველისო. შევარდნაძემ კი ისე „გვიშველა“, რომ მოგვიყვანა ხელისუფლებაში კრიმინალური ბანდის წევრები, ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის გზის გამგრძელებლები, მათი სულიერი მემკვიდრეები შლეგი სააკაშვილის მეთაურობით და რაც მოხდა, ყველას თვალწინ მოხდა — სულიერად გაიხრწნა ქვეყანა და ფიზიკურად განადგურდა. ჯერ თავად ამ ბანდამ დახოცა ქართველები ციხეებში და ქუჩებში, ნაწილი ქვეყნიდან გაიცა სამუდამოდ…

რაც შეეხება კონკრეტულად დმანისში მომხდარ ინციდენტს, ნაციონალებს სურთ, გააღვივონ ეთნიკური შუღლი, დაპირისპირება, რამეთუ გაჟღერდა მოლაპარაკების შესახებ დავით გარეჯის ირგვლივ.

სააკაშვილის მართული ლიბერალური მედიასაშუალებები აცხადებენ: დმანისში დაპირისპირება მოხდა ადგილობრივ აზერბაიჯანელებსა და სვანეთიდან ჩამოსახლებულ ეკომიგრანტებს შორისო. თურმე სვანები საქართველოში მიგრანტები ყოფილან. გასაოცარი ამბავია, პირდაპირ…

**— მარნეულში ჯვრის წაქცევაც ნაციონალების ნამოქმედარია?**

— მარნეულში გაგის ციხეზე მოიპარეს ჯვარი. ქართველებმა კვლავ აღმართეს. ის ჯვარი, დიდგორის დღესასწაულამდე კვლავ შეურაცხყვეს უცხო პირებმა. იხმის კითხვა: რატომ ვერ გამოგვიცხადებია სახელმწიფო დღესასწაულად დიდგორობა? ისევ თითს გვიქნევენ და გვაშინებენ? ღმერთის ნაბოძებ მიწა-წყალზე სხვას ვკითხოთ, რა ვაკეთოთ? ეს ნიშანია ხელისუფლების ინდიფერენტულობის, გადაჭარბებული ტოლერანტობის. მე მაშინებს, თვით ხალხმა არ აიღოს ხელთ მართვის სადავეები — მხედველობაში მყავნან გულშემატკივარი პატრიოტნი ერში თუ ბერში.

„ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდვნოდესო“, ხომ გახსოვთ?!

როცა სექტები შემოესია საქართველოს, ეკლესია და სინოდი დუმდა;

ეკლესია დუმდა, როცა ბოკერია და ძმანი მისნი სინოდის კრებებს მართავდნენ და ეუბნებოდნენ სასულიერო პირთ: არ მოიქცევით ისე, როგორც ჩვენ გვსურს და კომპრომატებს გამოგიქვეყნებთო;

ეკლესია დუმდა, როცა ფაშისტმა სააკაშვილმა გაასხვისა საქართველოს სტრატეგიული ობიექტები, გაასხვისა მიწა, ბუნებრივი რესურსები;

ეკლესია დუმდა, როცა პარლამენტმა ერთხმად მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი.

2014 წელს სტრასბურგში ხელი მოეწერა საერთაშორისო მემორანდუმს, რომლის საფუძველზე მართლმადიდებლური საქართველო მსოფლიო მასონურ ე.წ. რელიგიურ წარმონაქმნად უნდა იქცეს. როცა ადიგენში მინარეთის დემონტაჟი მოხდა, მუსულმანებთან ერთად ხმა აღიმაღლეს არასამთავრობოებმაც, სასულიერო პირებმაც კი; ნაბიჯს არ გადადგამდა, ხოლო მამა, სასულიერო პირი, საპატრიარქოს გარეშე კურთხევას არ მისცემდა. იკვეთება, რომ საპატრიარქოც საქმის კურსშია. ასევე საგულისხმოა, რომ ხანგრძლივ, ფართომასშტაბიან აქციებს სოლიდური დაფინანსება სჭირდება, რომელიც, ჯერჯერობით, გასაიდუმლოებულია. დიახ, ბევრ რაიმეს პასუხი უნდა გაეცეს და ნათელი მოეფინოს.

მან, ვინც გაყიდა რიონის ხეობის ტერიტორია 2009 წელს, სააკაშვილის სახით, დღეს მეამბოხეების მხარეს დგას და აგულიანებს მათ, რათა დესტაბილიზაცია და არეულობა მოაწყონ. მიხეილს აქ დატოვებული ჰყავს თავისი წიწილები, რომელთა ოცნებაა, ჩამოიყვანონ სააკაშვილი, რამეთუ მას დარჩა აქ კიდევ დასანგრევი, გასანადგურებელი, რათა სისრულეში მოიყვანოს თავისი შავ-ბნელი საქმენი. განსაკუთრებით ებრძვის ეკლესიას, რწმენას, ყოველგვარ ეროვნულს და სწორედ ამიტომ, მისი მსხვერპლი





1990-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა საქართველოს ღვთივკურთხეული პრეზიდენტი განდევნეს სამშობლოდან, სასულიერო თუ საერო პირთა მიმართ ნდობა შემერყა, რამეთუ ეს საშინელება ერთობლივად აღასრულეს, მერე იზეიმეს კიდევაც. ამის შემდეგ გადავწყვიტე უკომპრომისო ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ. ვგრძნობდი სავალალო მომავალს, ვცდილობდი, ჩამეგონებინა მათთვის, მიეღოთ სათანადო ზომები, რათა ჩიხში არ მომწყვდეულიყო ეკლესია. მაგრამ ამაოდ… სიმართლის გაგონება არავის სურდა. ეკლესია მართული შეიქმნა სახელმწიფოსგან, ისინი ჰარმონიულად მოქმედებდნენ. სინოდი არ იყო თავის დონეზე. ვგრძნობდი, ჩემი ბრძოლა მძიმე იქნებოდა.

1990-იან წლებში ქაშვეთის ეკლესიაში ლიტურღიას ბერი გაბრიელი ესწრებოდა. მე დიაკვნად ვმსახურობდი. წმიდა ბერი მოვიდა ჩემთან და მითხრა, წირვის ბოლოს მნახეო. ლიტურღიის შემდეგ შევხვდით, ვისაუბრეთ სარწმუნოებაზე, ბოლოს მომიგო: „იცი, როგორი მომავალი გელის?“ შემეშინდა, მან კი გულში ჩამიკრა და მითხრა: „შვილო, შენ ქრისტეს ეკლიანი გზით ივლი, მრავალ ტანჯვას გადაიტან, ციხეშიც კი მოხვდებიო“ და აქვითინდა...

როცა ჩვენი მრევლის მუხლჩაუხრელი შრომით აშენებული ეკლესია ბარბაროსულად დაარბიეს, მაშინაც დუმდა ეკლესია. რომელი ერთი ჩამოვთვალო. ახლა კი, ფაქტობრივად, ერი მიტოვებულია, რამეთუ ილია II მოხუცია, ვეღარ აკონტროლებს სიტუაციას, ყველა თავის ნებაზეა მიშვებული, სრული ქაოსია, უკვე დროა, პატრიარქმა თავისი სავარძელი დაუთმოს მოსაყდრეს, ჩატარდეს რუის-ურბნისის მსგავსი კრება, განიწმინდოს ეკლესია უღირსთაგან, რათა შეისმინოს უფალმან ლოცვა ერისა.

**— მამაო, რა აზრის ხართ რიონის ხეობაში მიმდინარე მოვლენებზე. აქციების ლიდერის მამა მოძღვარი ყოფილა. ეს რაიმეს ხომ არ გეუბნებათ?**

— აქციის ხელმძღვანელის გოლეთიანის მისია სერიოზული ტვირთია. როგორც ვიცით, მისი მამა მღვდელია. მამის გარეშე ის ამ

აკადემიკოსი, ბატონი გურამ შარაძე გახდა, რომელიც დღისით, მზისით, ქალაქის გულში უმოწყალოდ დახვრიტა. ბატონი გურამი სამშობლოს შეწირული მოწამეა, ხოლო სააკაშვილს რა სასჯელიც ელოდება, ყველა მორწმუნე ჩახვდება.

საბოლოო განკითხვა ღმრთისა არს, რომელსაც ვერავინ ასცდება.

**— ამასწინათ გიორგი სიგუას ჩართვა მოვისმინე მღვდელ პეტრე კვარაცხელიასთან, რომელიც თავის თავს „პეტრე კოლხად“ მოიხსენიებს. ამ საუბარში სიგუამ თქვა: „კაზანტიპს“ საპატრიარქოს მეუფეები მიფინანსებდნენო.**

—როგორც ამბობენ, ფესტივალის ხარჯებს ანაზღაურებდა წყალი „სნო“, რომელიც პეტრე ცაავას ბიზნესია. იმ პეტრე ცაავასი, რომელსაც თავის ოთახში სააკაშვილის 2-მეტრიანი სურათი ეკიდა და დღემდე მის გზას გაჰყურებს.

სხვათა შორის, ამასწინათ ევროპის წევრი სახელმწიფოს საქართველოში მოქმედმა საელჩოებმა ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, რომელშიც მოითხოვდნენ: დროა, ქართველებმა მხარი დაუჭირონ ლგბტ-ის უფლებებს და დაიცვან მათი უსაფრთხოებაო. აი, ეს ნაღმი იყო ჩადებული ანტიდისკრიმინაციულ კანონში 2014 წლის მემორანდუმში. შეგახსენებთ, აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტის ბაიდენის სიტყვებს: „მე არ მაინტერესებს თქვენი კულტურა, კულტურა აქვს იმ ერს, რომელიც იცავს ლგბტ საზოგადოების ინტერესებსო!“

უკვე შევდივართ აქტიურ ფაზაში — თვალხილული შეტევა, ბრძოლა მართლმადიდებლობაზე, რამეთუ მისი საძირკველი ჩადუღაბებულია ერის ინტერესებში და ვერავინ შეარყევს მას.

**— მამაო, იმაზე რას იტყვით, ნაციონალებს რომ ეხვეწნენ და ბოლოს და ბოლოს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში — პარლამენტში შეათრიეს?**

— ისე ნატრობდნენ ნაციონალების შესვლას პარლამენტში, თითქოს მართლაც ქვეყნის მშველელები იყვნენ. ნუთუ ისევ უნდა გაგრძელდეს გაუთავებელი დაპირისპირება და ხალხი კვლავ მუშტი-კრივის შემყურე გახდეს?! ანდა ისევ ის სცენარი განმეორდეს, შევარდნაძე რომ პარლამენტის დარბაზის კარებისკენ იყურებოდა, რატომ აგვიანებს და არ შემოდის საქართველოს მოღალატე სააკაშვილიო. ნუთუ მთავრობამ კიდევ ერთი გაკვეთილი უნდა ჩააბაროს დასავლეთს, ოკეანისგაღმელთ და ჩვენი ქვეყნის სხვა მტრებს, რათა ნებაყოფლობით გადააბარონ ხელისუფლება ფაშისტ სააკაშვილს.

მძიმე დღეები გვიდგას. ამიტომაც უნდა ვევედროთ მფარველ წმინდანებს: ღირსნო მამანო და დედანო, მართლმადიდებლობისთვის წამებულნო, სარწმუნოებისათვის, ერისათვის ღვაწლით დამაშვრალნო, ილოცეთ ჩუენთვის, მოგვაგოს უფალმან ძალა, რათა თქვენებრ ვაცოდინოთ ყველას ღირებულობა ქართველობისა, ენისა საზეპუროისა, რომელიც ღმრთის განგებით შეიქმნა. რომელიც დამარხულ არს დღეს, აღსდგება, როგორც ლაზარე და ყოველივეს ნათელს მოჰფენს. „განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულთ, რომელნიც დღე და ღამ მას შეჰღაღადებენ“? (ლკ. 18–7).

ღმერთმა დაგლოცოთ!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# საქართველო – ნეოლიბერალიზმი და ინდუსტრიული პოლიტიკა



*როზერტ ვეიდი*
***პოლიტეკონომიისა და საერთაშორისო განვითარების პროფესორი ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში (LSE). სტატია პირველად გამოქვეყნდა Le Monde diplomatique-ში.***

აპრილის ბოლოს ტატო ხუნდაძის მოწვევით ვიყავი საქართველოში, „საზოგადოებრივი კვლევის ცენტრში“, რომელიც წარმოადგენს მცირე სოციალ-დემოკრატიულ thinktank ორგანიზაციას და რომელსაც მხარს უჭერს ებერტის ფონდი. მასპინძელ მხარეს ასევე წარმოადგენდა მცირე სოციალ-დემოკრატიული პარტიის (სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის) ლიდერი და გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გია ჟორჟოლიანი. საქართველო დიდ სარგებელს ნახულობს საკუთარი სტრატეგიული ადგილმდებარეობით შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის აღმოსავლეთიდან-დასავლეთისკენ და აღმოსავლეთ ევროპას და ერაყს, ირანს და სამხრეთ აზიას შორის მდებარე ჩრდილოეთიდან-სამხრეთისკენ გამავალი გზებით (ეს ადგილმდებარეობა საქართველოს მოწყვლადს ხდიდა დაპყრობისა და ძარცვისთვისაც). ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანა საბჭოთა კავშირში და საბჭოთა კავშირამდე ცარისტულ რუსეთში. რუსებს უყვარდათ აქ არდადეგების გატარება მისი დახვეწილი კულტურის, თერმული წყლებისა და შავი ზღვისპირეთის გამო. დედაქალაქი თბილისი იკვეხნიდა თავისი ბრწყინვალე ოპერით, XIX საუკუნის შუა წლებში აშენებული შენობით. საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოს ჰქონდა მსხვილი ინდუსტრიული სექტორი და დასაქმებულთა საკმაოდ დიდი საშუალო კლასი. ინდუსტრია მოიცავდა რთულ წარმოებასაც, როგორებიცაა: მანქანები და საბრძოლო თვითმფრინავები – ქუთაისში (ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქი) იყო მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელიც ასაქმებდა 18, 000 ადამიანს, და საქართველოს უხვი თიხის მარაგი, რომელმაც ააყვავა კერამიკული ინდუსტრია. როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მხარდაჭერილმა პოსტსაბჭოთა მთავრობებმა ბიძგი მისცეს სწრაფ და შორს მიმავალ პრივატიზაციის პროგრამას. დაიშალა ასობით ქარხანა და ჯართად გაიყიდა. 1990-იანი წლებიდან 2000-იან წლებამდე, ლითონის ჯართი წამყვან საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა. 2005 წლამდე, სულ რაღაც 15 წლის განმავლობაში, საქართველო საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო მდიდარი რესპუბლიკიდან გადაიქცა ყველაზე უფრო ღარიბ ქვეყნად. ზრდა 2000-იანი წლების შუა ხანებამდე არ აღდგენილა. 1990-იანების შუა წლებიდან დღემდე საქართველოს მოსახლეობა მესამედით – დაახლოებით 3,4 მილიონამდე შემცირდა. ქვეყნის დიასპორა უმეტეს წილად რუსეთში, თურქეთსა და ევროპაშია. თითქოსდა ვიღაცას ნათქვამი ჰქონდეს: „გარიგება ასეთია: თქვენ იღებთ თქვენ დამოუკიდებლობას და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, მაგრამ თქვენ კარგავთ თქვენი მოსახლეობის მესამედს“. მაღალი ემიგრაციის დონის მიუხედავად, ოფიციალური უმუშევრობა დაახლოებით 13% შეადგენს. მაგრამ „დასაქმებულები“ მოიცავს „თვითდასაქმებულებსაც“, სადაც იგულისხმება ადამიანები მიწის მცირე ნაკვეთით, რომელზეც საარსებო მოსავალი მოჰყავთ. მათი უმუშევართა კატეგორიაში მოქცევა მოგვცემდა სურათს 50%-მდე უმუშევრობით.

ინდუსტრიული განვითარების სტრატეგიის შესახებ ერთდღიანი კონფერენცია, რომელსაც მე დავესწარი და რომელიც დაიგეგმა გაბედული სოციალ-დემოკრატების მიერ (მათი არგუმენტები ხშირად შერაცხულია როგორც „კომუნისტური“) – ბოლო 25 წლის განმავლობაში იყო პირველი კონფერენცია ამ თემაზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ის გაიმართა პარლამენტის შენობაში. კომუნიზმის დაცემიდან მოყოლებული ისეთი ფრაზა, როგორებიცაა: „ინდუსტრიული პოლიტიკა“ აკრძალულია – თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი ეკონომიკის მინისტრის ხატოვან გამოთქმას: „საუკეთესო ინდუსტრიული პოლიტიკა -ინდუსტრიული პოლიტიკის არქონაა.“ (სამი წლის წინ პოლონეთში შევიტყე, რომ პოლონეთის ძლევამოსილ ეკონომიკის მინისტრს უყვარდა იგივეს თქმა. ეჭვი არაა, ისინი გაუცნობიერებლად იმეორებდნენ სახელგანთქმული ამერიკელი კონსერვატორი ეკონომისტის გარი ბეკერის ფრაზას, რომელმაც პირველად ეს 1985 წელს თქვა). ეკონომიკური პოლიტიკა დიდი ხანია წყდება ერთი კითხვის საშუალებით: თუ როგორ დავშორდეთ მაქსიმალურად იმას, რასაც საბჭოთა კავშირის მთავრობები აკეთებდნენ? ფრიდრიხ ჰაიეკსაც კი შერცხვებოდა ასეთი ექსტრემალური ნეო-ლიბერალიზმის გამო. აქ ფაქტიურად არ არსებობს კეთილდღეობის სახელმწიფო. საშემოსავლო გადასახადი ყველასთვის თანაბრად 20%-ს შეადგენს, მოგების – 15%-ს, ხოლო დივიდენდების გადასახადი – 5%-ია. მთავრობა, რომელიც მხარდაჭერილია ბანკებისა და სათამაშო ფირმების მიერ, მიისწრაფის შემოიღოს ესტონური საგადასახადო მოდელი, რომლის მიხედვითაც, კომპანიები თავისუფლდებიან მოგების გადასახადისგან, თუკი ისინი მოახდენენ მოგების საკუთარ ბიზნესში რეინვესტირებას. თუმცა ტერმინი „რეინვესტირება“ ბუნდოვანია, რაც იძლევა საკმაო საშუალებებს, რათა თავიდან აიცილონ კორპორატიული გადასახადები. ყველა „კარგი“ განათლების მიღების საშუალება კერძოა. თბილისის მოსახლეობა ერთ მილიონს სცდება, რაც მთელი მოსახლეობის მესამედია. ქუჩები ისეთივე სუფთაა, როგორც ლონდონში, მაგრამ საგზაო მოძრაობის გადატვირთულობა შემზარავია, თვალების მწველი ჰაერი ყველა გამონაბოლქვზე მავნეა (თუმცა არც ისეთი საშინელი როგორც დელიში ან პეკინში). საჯარო ტრანსპორტი არც ისე ბევრია და ცოტა თუ გაბედავს ველოსიპედით მოძრაობას. ურბანული დაგეგმარება თვალშისაცემია მისი არარსებობის გამო. საბჭოთა ეპოქის პარკები და სხვა საზოგადოებრივი შენობები ბულდოზერებითაა დანგრეული, რათა გზა დაეთმოს თვალშისაცემად მახინჯი, ერთმანეთზე მიჯრით მდგარი მრავალბინიანი საცხოვრებლებისთვის, რომელთაც არც პარკები გააჩნიათ და არც ავტოსადგომები. პრივატიზებული ქუჩები თუ სამშენებლო ფირმას სურს, რომ ცარიელ ადგილას (მაგალითად პარკში) ააშენოს საცხოვრებელი კომპლექსი, მან ხელმძღვანელობისთვის უნდა გაიღოს „რაიმე“ საკმარისი და დიდი ალბათობით მოიპოვებს უფლებას. რამდენიმე უკვე არსებული ქუჩა „პრივატიზირებულია“ – ისე რომ ქუჩის „მფლობელი“ კრეფს გადასახადს თითოეული სატრანსპორტო საშუალებიდან. როგორც წესი, ცნობილი არაა, ვინ „ფლობს“ ამ კერძო ქუჩებს, მაგრამ ნათელია, რომ ეს ქუჩები აგებულია სახელმწიფო სექტორის და არა კერძო მფლობელის მიერ. შეგვიძლია დავასახელოთ როგორც მინიმუმ ერთი შემთხვევა: დიდი სასტუმრო ისეა განლაგებული ქუჩაზე, რომ ტაქსებს, რომლებიც მიდიან სასტუმროს მიმართულებით უწევთ საფასურის გადახდა. მეორე მხრივ, წინა და ახლანდელი ხელისუფლების პირობებშიც უწინ არსებული ყოველდღიური წვრილმანი კორუფცია (მაგალითად საგზაო პოლიციის შემთხვევაში) თითქმის აღმოფხვრილია, რაც არსებითად აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს ყოველდღიურობის დონეზე. და თბილისს დღემდე აქვს ლამაზი ბოტანიკური ბაღი – სადაც შესვლისას ფულს იხდი. მოქმედი მთავრობაა კოალიცია სახელწოდებით „ქართულ ოცნება“.



მე შევხვდი დიმიტრი ქუმსიშვილს, ვიცე-პრემიერსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს. მას ისე მიჰყავდა მთელი საუბარი, თითქოსდა მე პოტენციური ინვესტორი ვყოფილიყავი. ის და მისი მთავრობა შეყვარებულია მსოფლიო ბანკის ანგარიშში ბიზნესის კეთების სიმარტივის შესახებ, სადაც საქართველო იკავებს მაღალ ადგილს (18-დან 24-მდე ბოლო წლების განმავლობაში) ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალთან მიმართებით (დაახლოებით 3.500-4.000 აშშ დოლარი). ეს მაღალი მაჩვენებელი თავისთავად არის პოლიტიკის პრიორიტეტების პირველ ნუსხაში; ისინი არაპირდაპირ ამტკიცებენ, რომ თუ შექმნიან „თანაბარ პირობებს“ (მათ შორის კარგი ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა) პროფესიონალი მოთამაშეები ჩაერთვებიან თამაშში. დასავლური მულტი-ნაციონალური კორპორაციები დაიწყებენ საქმეს იმისთვის, რომ მოახდინონ ექსპორტი ჩინეთში; ჩინური ტრანსნაციონალური კორპორაციები კი გააკეთებენ იგივეს, რათა გაიტანონ საქონელი ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ. მარტივია. ძირითადი ვარაუდი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველო უკან მიდის „სახელისუფლებო“ და არა საბაზრო ეკონომიკის ჩავარდნის გამო. და როცა სამთავრობო შეზღუდვები მოგვარდება, ბაზარი იმუშავებს „თავისთავად“ რათა განავითაროს ზრდის მაღალი ტემპები. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მცირე სამმართველოს (9-12 კაცი, რომელთაგან ყველა 3 თვიან კონტრაქტზეა) თავმჯდომარეს, რომელსაც დავალებული აქვს, დაარეგულიროს ინდუსტრიული პოლიტიკა, სურს გაიგოს მეტი „ინდუსტრიული პოლიტიკის შესახებ“. იგი გაოგნებული იყო ჩემი სიტყვებით, როდესაც ვთქვი, რომ შეერთებული შტატები უკვე დიდი ხანია წარმოადგენს ეფექტურ „დეველოპმენტალისტურ“ სახელმწიფოს და, რომ CIA-ისაც კი აქვს ვენჩორული ფონდი, რითაც ხელს უწყობს ინოვაციების განვითარებას. მოგვიანებით მან მითხრა, რომ კონფერენციის დასრულებისთანავე მას ჰქონდა ვრცელი შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან, მის თანაკურსელთან. როდესაც პრემიერმა შეიტყო, რომ შეერთებული შტატები არის ეფექტური „დეველოპმენტალისტური“ სახელმწიფო და რომ CIA-იც კია ინოვაციის განვითარების საქმეში ჩართული, ისიც გაოცდა. მათ არა მხოლოდ იდეოლოგია შექმნეს და გადაიყვანეს ეს იდეოლოგია პოლიტიკის პარადიგმაში, არამედ დააარსეს ორგანიზაციული არქიტექტურა, რათა ეს პარადიგმა გადაქცეულიყო ეკონომიკური პოლიტიკის წარმმართველ ძალად – ყოველ კონტინენტზე ნეო-ლიბერალური thinktank ორგანიზაციების გაჩენით, დაფინანსებით და იდეების ინექციით ისეთ ორგანიზაციებში, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი.

საქართველოს უნივერსიტეტებში ეკონომიკის სწავლება თითქმის სრულიად ეფუძნება გრეგორი მენქიუს „ეკონომიკის პრინციპებს“. მენქიუ უკომპრომისო ნეოლიბერალია იმ დონემდე, რომ 2011 წელს ჰარვარდში მის კურსზე ეკონომიკის შესავალში პროტესტის ნიშნად მოაწყეს გაფიცვა მის მიერ გაკეთებული უვარგისი პრეზენტაციის გამო, ეკონომიკური ცოდნის მდგომარეობის შესახებ. საქართველოში არავის აქვს მცირედი წარმოდგენაც კი თუ როგორ შეიმუშაონ სიცოცხლისუნარიანი ინდუსტრიული პოლიტიკა.

თარგმანი
მოამზადა
**მარიამ გაჩეჩილაძემ**





# დანაღმული ყამირი

დაკმაყოფილდა მსოფლიოს პოლიტიკური საზოგადოების ინტერესი — ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრეზიდენტების — ჯო ბაიდენისა და ვლადიმირ პუტინის შეხვედრა ნამდვილად გაიმართება. ცნობილია დრო და ადგილი — 2021 წლის 16 ივნისი, ოთხშაბათი, შვეიცარიის ქალაქი ჟენევა.

ტრადიციულად, ნებისმიერ მოვლენას თან ახლავს პროგნოზები, მაგრამ ამჯერად წინასწარმეტყველებების კორიანტელი დატრიალდა. ანალიტიკოსების ინტერესის სფეროს წარმოადგენს, რა შედეგით დასრულდება პრეზიდენტების შეხვედრა. ექსპერტებს ამასთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება აქვთ. ერთნი კატეგორიულად აცხადებენ, რომ შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდება. მეორე მხარე მათ არ ეთანხმება და ოპტიმისტურად არიან განწყობილები.

მომავალი ჟენევის სამიტი მარტივი რომ არ იქნება, ამაზე ყველა თანხმდება. ახლა ბაიდენი და პუტინი პრეზიდენტების რანგში პირველად შეხვდებიან ერთმანეთს პირისპირ (თუ არ ჩავთვლით გაზაფხულზე გამართულ ვიდეო-კონფერენციას კლიმატურ საკითხებზე). ანალიტიკოსების შეფასებით, მოლაპარაკებისას პრეზიდენტებს ორ ქვეყანას შორის გაჩენილი ყამირის, ისიც დანაღმულის, ათვისება მოუწევთ. როგორ შეძლებენ „დანაღმულ ყამირზე“ გავლას, გამოჩნდება. რუსი ექსპერტების დიდი ნაწილი, ევროპელების მსგავსად, შეხვედრის შედეგიანად დასრულებას პესიმისტურად უყურებს. იქაური პოლიტიკოსების თქმით, თუ აშშ-ს რეალურად უნდა, მოლაპარაკება შედეგიანად დასრულდეს ორივე მხარისთვის, მაშინ ბაიდენის ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს რუსეთის ინტერესები.

ეკონომიკური საკითხების გარდა, ბაიდენის მიმართ უკმაყოფილება პოლიტიკური კუთხითაც იზრდება. დემოკრატიული პარტიის წევრების ნაწილი გაღიზიანებას ვერ მალავს ჟენევაში პუტინთან შეხვედრის გამო. რესპუბლიკელები ქილიკობენ. ჯო ბაიდენი დონალდ ტრამპს აკრიტიკებდა პუტინთან შეხვედრის გამო და მას „ლეკვიც“ კი უწოდა. ამჯერად ვითარება შეიცვალა და ახლა აშშ-ის პრესა დემოკრატების მხარდამჭერი ტელეკომპანია ჩNN თავად ბაიდენს უწოდებს „რუსეთის აგენტს, რომელიც პუტინს ჯიბეში უზის“. ამის გარდა, განაწყენებულებმა ბაიდენზე თქვეს, რომ ის არის: „...პუტინის ლეკვი, რომელიც პატრონს კუდს უქიცინებს“. ამერიკელი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, ეყოფა თუ არა ბაიდენს ძალა ხანგრძლივი მოლაპარაკებებისთვის. ამის შესახებ თეთრი სახლის პრესსამსახურის უფროსს ჯონ ფსაკის კითხვაც დაუსვეს, რაზეც ფსაკიმ უპასუხა, რომ „პრეზიდენტი ფიზიკურად ძალიან კარგ ფორმაშია და ისე სწრაფად დადის, ზოგჯერ გაჭირვებით ვეწევი“. ამერიკელი ექსპერტების ნაწილი ჟენევაში შეხვედრას „იძულებით სამიტს“ უწოდებს. იქვე აღნიშნავენ, რომ უკვე წარუმატებელი საშინაო პოლიტიკის შემდეგ, ბაიდენს სურს, წარმატებას საგარეო საკითხებში მიაღწიოს, რისი დიდი გამოცდილება სენატში ხანგრძლივი მოღვაწეობის შედეგად აქვს.

მოლაპარაკების დაწყებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. აქედან გამომდინარე, ჯო ბაიდენი ცდილობს, შეარბილოს არსებული რთული ვითარება რუსეთთან. ყველასთვის მოულოდნელად, მან უარი განაცხადა გაზსადენ „ჩრდილოეთი ნაკადი-2“-ის მშენებლობაში მონაწილე კორპორაციებისთვის სანქციების დაწესებაზე, რაც თითქმის გადაწყვეტილი იყო.



მსოფლიოში არსებული მწვავე პოლიტიკური სიტუაციით პენტაგონის მაღალჩინოსნებიც არიან შეშფოთებულები. გასულ კვირას გენერალმა მარკ მილიმ საჯაროდ განაცხადა, რომ კონკურენცია ქვეყნებს შორის ჩვეულებრივი მოვლენაა, რაც კონფრონტაციაში არ უნდა გადაიზარდოს. მან აშშ-ის პოლიტიკოსებს მოუწოდა, ყველაფერი გააკეთონ, რათა არ დაუშვან ჩინეთთან და რუსეთთან შეიარაღებული შეჯახება. როგორც ვხედავთ, შვეიცარიაში მომავალი სამიტი მართლაც ისტორიული და მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ შედეგი არაპროგნოზირებადია. თუმცა შეხვედრის შემდეგ სამყაროს მომავლის კონტურები აუცილებლად გამოიკვეთება.

ახლო აღმოსავლეთში ისრაელ-პალესტინელებს შორის ზავის პირობების შესრულების ინსპექტირების მიზნით ჩავიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი. იგი შეხვდა ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბენიამინ ნეთანიაჰუს და პალესტინელების ლიდერს მაჰმუდ აბასს. ბლინკენის განცხადებით: „...აშშ-ისთვის მთავარი მიზანია ორი ერის, ორი ქვეყნის მშვიდობიანი თანაცხოვრება. ვაშინგტონისთვის მიუღებელია სიძულვილისა და ომის გაღვივების რიტორიკა“.

ამერიკული პრესის ინფორმაციით, ბლინკენის ვიზიტით ნეთანიაჰუს მიანიშნეს, რომ აშშ რეგიონში დაიცავს ძალთა ბალანსს, არ დაუშვებს ისრაელის სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერებას. ასევე ცნობილი გახდა, რომ ბაიდენი დაინტერესებულია ირანის ბირთვულ პროგრამაში დაბრუნებით. ბრიტანული პრესის ინფორმაციით, წელს აშშ-მ, მიუხედავად არსებული სანქციებისა, ირანისგან უკვე შეიძინა მილიონი ბარელი ნავთობი. ამიტომაც, სოლიდური ბრიტანული გამოცემა „გარდიანი“ ახლანდელ სანქციებს „კაბინეტურ დიპლომატიად“ აფასებს. გამოცემაში აღნიშნავენ იმ გარემოებასაც, რომ დაწესებულმა სანქციებმა რუსეთი დასუსტების ნაცვლად გააძლიერა.

გასულ კვირას ჯო ბაიდენმა საკანონმდებლო ორგანოში წარადგინა მომავალი წლის ბიუჯეტი, რომლის მოცულობა 6 ტრილიონი (!) დოლარია. მსგავსი დიდი ხარჯები აშშ-ს 1946 წლის შემდეგ აღარ ჰქონია. აქედან 750 მილიარდი პენტაგონისთვის არის განკუთვნილი, 139 მილიონი კი შიდა ტერორიზმთან ბრძოლას მოხმარდება. შიდა ტერორიზმად აფასებენ დემოკრატები 6 იანვარს კაპიტოლიუმის შენობაში მომხდარ მოვლენებს.

გასული კვირის დასაწყისში ევროპულ პრესაში გავრცელდა ცნობა: ბელორუსში, პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს ბრძანებით თვითმფრინავი გაიტაცესო. რეალურად ვითარება სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა. ირლანდიური „რანეაირის“ კუთვნილი სამგზავრო თვითმფრინავი ათენი-ვილნიუსის რეისს ასრულებდა. ლაინერის ბელორუსის ცაში ყოფნისას სამ ქალაქში — ათენში, ვილნიუსსა და მინსკში მიიღეს შვეიცარიიდან შეტყობინება, რომ თვითმფრინავი დანაღმულია და ვილნიუსში აფეთქდება, თუ ისრაელი ცეცხლს არ შეწყვეტსო. წერილი ჰამასის მებრძოლების სახელით გავრცელდა. ბელორუსის საავიაციო დისპეჩერები დაუკავშირდნენ ეკიპაჟის წევრებს. 15 წუთი მფრინავებს თავიანთ მფლობელთან ჰქონდათ მოლაპარაკება და მიიღეს გადაწყვეტილება, თვითმფრინავი მინსკის აეროპორტში დაესვათ. საბედნიეროდ, განგაში ცრუ აღმოჩნდა. მგზავრების საბუთების შემოწმებისას თვითმფრინავში აღმოჩნდა ბელორუსის მოქალაქე, ძებნილი ვინმე პროტასევიჩი, რომელიც, თავისთავად, დააკავეს. სწორედ ამის შემდეგ ატყდა ალიაქოთი, თვითმფრინავი გაიტაცეს და ოპოზიციონერი ჟურნალისტი უკანონოდ დააკავესო.

„ჟურნალისტი“ კი 2014-15 წლებში უკრაინულ შეიარაღებულ დაჯგუფება „აზოვის“ (რომელიც მთელ რიგ ქვეყნებში ტერორისტულ ორგანიზაციად ითვლება) მებრძოლი გახლდათ და ბრალი ტერორიზმში აქვს წაყენებული. მთავარი ეს კი არა, მოვლენების მიმართ საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება გახლავთ. ლატვიაში ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს. იქაურმა დეპუტატმა აიგარს ბარშემ წამოაყენა წინადადება, გაეტაცებინათ ბელორუსი სპორტსმენები პროტასევიჩში გასაცვლელად (?!). საერთაშორისო ფედერაციამ, მართალია, საკადრისი პასუხი გასცა დეპუტატს, მაგრამ პოლიტიკოსებს, რაც მთავარია, ევროკავშირს, ხმა დღემდე არ ამოუღიათ. საერთოდაც, მსოფლიოს სპორტის ისტორიაში ათლეტების გატაცება მხოლოდ 1972 წლის ოლიმპიადაზე მოხდა. პოლიტიკოსების დუმილი ტეროტიზმის წახალისებას ხომ არ ნიშნავს?!

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ოგრანიზაციას მომხდარზე დასკვნა ჯერ არ გამოუქვეყნებია, მაგრამ ბელორუსს უკვე დაუწესეს სანქციები — იქაურ ავიაკომპანიებს ჩაუკეტეს საზღვრები და ქვეყნის საჰაერო სივრცე დაუხურეს. გასულ კვირას პრეზიდენტი ლუკაშენკო სოჭში ესტუმრა რუს კოლეგა პუტინს. წლეულს უკვე მესამედ. პირველ დღეს 5 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა დახურულ კარს მიღმა მათი საუბარი. რა თემებზე ისაუბრეს, სრულიად საიდუმლოდ დარჩა. ცნობილია, რომ თვითმფრინავის ინციდენტზე ლუკაშენკომ მთელი დასტა საბუთები ჩაუტანა კოლეგას. რუსეთი ბელორუსს მეორე 500 მილიონი დოლარის ტრანშს აძლევს. ევროპელი ექსპერტების შეფასებით, დასავლეთმა შეძლო მოეწყვიტა თავისი ორბიტიდან ბელორუსი და რუსეთს კიდევ უფრო დაუკავშირა.

ბელორუსი ჟურნალისტების ინფორმაციით, უცხოეთში მყოფ ოპოზიციას შორის მოხდა განხეთქილება. მავანმა კარგად იცოდა რეისის მარშრუტი, ისიც, რომ, ბომბის არსებობაზე რეაგირება ექნებოდა, დასვამდნენ თვითმფრინავს მინსკში და საბუთების შემოწმების შემდეგ დააკავებდნენ ძებნილს. ამიტომაც მიიღეს ქალაქების აეროპორტებმა შეტყობინება იმ დროს, როდესაც ხომალდი ბელორუსის ტერიტორიაზე შევიდა. ამის გარდა, მავანს აშინებს ყველაფერი არ ილაპარაკოს დაკავებულმა და ამიტომ ითხოვენ მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. თუმცა უკვე გვიანია, პროტასევიჩი აქტიურად თანამშრომლობს გამოძიებასთან და მალე ბევრ ახალ ამბავს გავიგებთ.

**გია ბურდული**
571 71 27 07

# „თქვენ არ ირჩევთ ძმებ მაჰმადიანებს, ძმები მაჰმადიანები გირჩევენ თქვენ!“

## რატომ მიიღო მასობრივი ხასიათი ევროპელი ქრისტიანი ახალგაზრდების გამაჰმადიანებამ?



მეოცე საუკუნის მიწურული და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისი ხასიათდება ყველაზე სისხლიანი და მაშტაბური ტერორისტული აქტებით. საფრანგეთის მაჰმადიან სტუდენტთა ასოციაციის ყოფილი მაროკოელი თავმჯდომარე ინჟინერი მუჰამედ ლუიზი ცამეტი წლის ასაკიდან იყო აღნიშნული მოძრაობაში ჩართული. რამოდენიმე წლის წინ, მუჰამედმა უარი თქვა თავმჯდომარეობაზე და ასოციაციის წევრობაზეც და ევროპელ ახალგაზრდებს „გაუმხილა“ მაჰმადიანების გლობალური თემის ზრახვები. მან გამოაქვეყნა „აპოლიტიკური“ ისლამის თხოვნა. „თქვენ არ ირჩევთ ძმებ მაჰმადიანებს, ძმები მაჰმადიანები გირჩევენ თქვენ. ძალიან მალე ისინი გავალებენ იდეოლოგიისადმი ერთგულების ფიცის დადებას. მას შემდეგ თქვენი სამშობლოა უმა, მაჰმადიანების გლობალური თემი და არა საფრანგეთი ან მაროკო. ეს სამშობლო უმა ანუ მაჰმადიანთა გლობალური თემი სულიერია. მას მართავს უმაღლესი ბელადი რომელსაც უნდა დაემორჩილოთ. ჩვენი მისიები სრულდება ღმერთის სახელით და ღმერთი გვიყურებს...“

არსებობს ფრანგი დემოკრატი მაჰმადიანების კავშირი, რომელიც თავის თავს ახასიათებს როგორც არაკონფესიურ, საერო და ღრმად რესპუბლიკურ მოძრაობას. ის იბრძვის საფრანგეთის თითქმის ყველა ქალაქში არჩევნებში გამარჯვებისთვის. საფრანგეთში „უმას“ ზრახვებს სხვებიც ამხელენ. ბერნარ რუჟეს თქმით მემარცხენეთა ნაწილი გაურიგდა ისლამისტებს. ამას ადასტურებს სერჟის ყოფილი დეპუტატი: „ძმა მაჰმადიანებს ქალაქის დასაპყრობად უნდათ კონკრეტული ადგილები. მათ უნდათ გადამწყვეტი ადგილები ასოციაციებში, ფინანსებში, ურბანიზმში თუ პატარა ბავშვებზე ზრუნვის სფეროში.

ეს აწუხებს ბარ-ილანის უნივერსიტეტის არაბული დეპარტამენტის დოქტორ მორდეხაი კედარს, რომელმაც ოცდახუთი წელი იმსახურა ცაჰალის სამხედრო დაზვერვაში... მისი კვლევით, დასავლეთს აწუხებს ის რომ ასობით და შეიძლება ათასობით ახალგაზრდა ევროპელი მაჰმადიანდება, იღებს ისლამს და ზოგი მათგანი უერთდება ტერორისტულ ჯგუფებს, ეგრედ წოდებულ ისლამურ სახელმწიფოს რის შემდეგაც ბრუნდება უკან რათა გააჩაღონ ჯიჰადი მათი მშობლიური საზოგადოების წინააღმდეგ. ბრუნდებიან რათა ებრძოლონ საზოგადოებას რომელშიც დაიბადნენ, გაიზარდნენ და ისწავლეს. ეს ახალგაზრდები ძალიან საშიშები არიან. დასავლეთის უშიშროების ძალებს ძალიან უჭირთ ამ ახალგაზრდების ზრახვების ამოცნობა. კვლევაში მორდეხაი განმარტავს თუ რა უბიძგებს გამაჰმადიანებისკენ და ტერორისტული ორგანიზაციების წევრებად გახდომისკენ ძირით ევროპელ, ევროპაში დაბადებულ და გაზრდილ ახალგაზრდებს. კვლევის წყაროებია გამაჰმადიანებულ ევროპელთა ჩანაწერები. მაჰმადიანთა დასახლება ევროპაში, ამერიკაში და ავსტრალიაში უფრო და უფრო მომრავლდა. ევროპელი, ამერიკელი და ავსტრალიელი ახალგაზრდებისთვის ისლამი გადაიქცა მათი მშობლიური ქვეყნების კულტურის „თუ უკულტურობის“ ალტერნატივად. მრავალი გამაჰმადიანებული დარწმუნებულია იმაში რომ ისლამი არის მშვიდობის, სიყვარულის, თანაგრძნობის და მეგობრობის (და არა ლგბტს დროშების ფრიალის, პორნოგრაფიის), რელიგია რომელიც ეფუძნება გულუხვ სტუმართმოყვარეობას და გულთბილ მიღებას რომლითაც მათ ხვდებიან მათ ახალ სოციალურ გარემოში. ინდივიდუალისტურ, ცივ, მატერიალისტურ, ჰედონისტურ-ჰიპერსექსუალიზებულ და გამაუცხოვებელ საზოგადოებაში დაბადებული ახალგაზრდები ხედავენ რომ კოლეჯში, უნივერსიტეტში თუ მაჰმადიანურ ცენტრში მათ თბილად, კეთილი სიტყვით, გამხნევებით და დახმარებით ხვდება მაჰმადიანთა საზოგადოება. ყველაფერი ეს ახალგაზრდას აკლია მის მშობლიურ ევროპულ საზოგადოებაში. ეს ფენომენი ყველაზე თვალსაჩინოა სექსუალურ-ნიჰილისტური რევოლუციით მოშლილ ოჯახებში დაბადებულ ახალგაზრდებში. უფრო იოლად მაჰმადიანდებიან ის ევროპელი ახალგაზრდები რომელთა მშობლებიც ცემენ ერთმანეთს, რომელთა მშობლებიც გაყრილები არიან და ბავშვი დატოვებულია ღარიბი დედის ამარა, ვისი მშობლებიც არიან ლოთები, ნარკომანები და მოძალადეები, ვისი მშობლებიც სარგებლობენ თავისი შვილებით და არ უქმნიან თავის შვილებს საჭირო ემოციურ ატმოსფეროს, არ აძლევენ მაგალითს ნორმატიული და ნაყოფიერი, პროდუქტიული ცხოვრების ასაგებად. გამაჰმადიანებული ევროპელი ახალგაზრდა თვლის რომ მას აქვს თავისი საკუთარი რელიგიური და კულტურული მეობის განსაზღვრის, მათ შორის გამაჰმადიანების და ამის თაობაზე მშობლების და საზოგადოების აზრის არაფრად ჩაგდების უფლება. ევროპელი ახალგაზრდის გამაჰმადიანება ზოგჯერ არის ჯანყი მშობლების წინააღმდეგ. გამაჰმადიანებულ ევროპელ ახალგაზრდას ხშირად ზიზღით უყურებს ოჯახიც და საზოგადოებაც, მაგრამ ამას მოაქვს მათთვის არასასურველი შედეგი.თავისი ძველი გარემოს მტრულ დამოკიდებულებას ისლამის მიმართ გამაჰმადიანებული ევროპელი ახალგაზრდა თვლის გაუმართლებელ რასიზმად და უსაფუძვლო ისლამოფობიად. მაჰმადიანთა ოჯახებში დაბადებულები, გამაჰმადიანებულ ევროპელებს ეუბნებიან რომ ისლამი პატივს სცემს მისი დედა-რელიგიების, იუდაიზმის და ქრისტიანობის წინასწარმეტყველებს, რომ მაჰმადიანს სწამს ცათა შინა მყოფი ჩვენი მამის, უკანასკნელი სამჯავროსი, დანაშაულის დასჯისა და სიკეთის ანაზღაურებისა... ამის მსმენელ ახალგაზრდა ევროპელს სწამს რომ ისლამი ისეთივე ლეგიტიმური და კარგი რელიგიაა როგორც იუდაიზმი და ქრისტიანობა. და თუ მისი მშობლები არიან იუდევლები თუ ქრისტიანებუ რატომ არ შეუძლია მას გამაჰმადიანება? ახალგაზრდა ევროპელი ხედავს ბევრ კეთილ, თავის საქმის მცოდნე და მშრომელ მაჰმადიანს რომლებიც ჩაწერილები არიან ევროპულ გარემოში და რომელთა არსებობაც სასარგებლოა ევროპული საზოგადოებისთვის და ევროპელ ახალგაზრდას უჩნდება ამ მაჰმადიანებისთვის მიბაძვის სურვილი. მაჰმადიანთა უმრავლესობა არაა ტერორისტი. გამაჰმადიანებულები ამბობენ რომ წლობით მატერიალისტური და ჰედონისტური ცხოვრების, სულიერი სიცარიელის შემდეგ ყურანის კითხვა და ლოცვა სულიერ მნიშვნელობას აძლევს მათ ცხოვრებას. ისინი გამაჰმადიანებას აღწერენ როგორც გამოღვიძებას ავადმყოფური კოშმარული სიზმრის შემდეგ, უაზრო ბავშვობიდან სრულწლოვანებაში გადასვლას. გამაჰმადიანებულებს სწამთ რომ მაჰმადიანობამ მოაწესრიგა ლიბერტარობით არეული მათი ცხოვრება და მისცა მათ საზომი მათი და მათი ქცევის შესაფასებლად, დაადგინა თუ რა არის დაშვებული და რა არის დაუშვებელი რისი გაკეთება არ უნდა ან არ შეუძლია მათ „ძველ“ საზოგადოებას რომელიც არ ადგენს წესებს. გამაჰმადიანებული ევროპელები მზად არიან ისლამური კანონის მიერ მაჰმადიანებისთვის დადგენილი საზღვრების მისაღებად და ასე მათი „ადრინდელი არეული უაზრო ცხოვრების“ მოსაწესრიგებლად. გამაჰმადიანებული ევროპელები ამბობენ რომ ისლამის „ნათელმა“ გაწმინდა ისინი მათი ძველი ცოდვებისგან და შეცდომებისგან. ზოგი გამაჰმადიანებული ევროპელი ყოველდღიურ ხუთჯერად ლოცვას აღწერს როგორც გამახნევებელ და გამაძლიერებელ გამოცდილებას რაც აკლდა მათ წინა ცხოვრებას. უშუალო და მუდმივი კონტაქტი ცასთან რომელიც იწყება მზის ამოსვლამდე და მთავრდება მზის ჩასვლისას მათ უჩენს განცდას რომ მათ ხელს უწვდის და ცხოვრების გზებზე წინ მიუძღვის, რჩევებს აძლევს და ყოველდღიურ განსაცდელთა გადატანაში ეხმარება ის ვინც არის ცათა შინა.




აშშ-ს ციხეებში შედიან როგორც მღვდლები ისე იმამები და ნიჭიერ ქარიზმატულ იმამს შეუძლია ბევრის მოქცევა.ხდებოდა ისეც რომ ოჯახის ერთი წევრის გამაჰმადიანება ოჯახის სხვა წევრებსაც უბიძგებდა გამაჰმადიანებისკენ. ისლამი ახალგაზრდა ქალებს იზიდავს იმით რომ ის მათ სთავაზობს ლგბტს დროშების მოფრიალე, პორნოგრაფიით და სადომაზოხისტურ-პედოფილური საქციელებით სავსე საზოგადოებასთან შედარებით უფრო მორალურ საზოგადოებას. სექსუალური ცხოვრებით დაქანცულ და გაშტერებულ ხშირად გაუპატიურებულ ახალგაზრდა ევროპელ ქალებს ხიბლავს ისლამი რომელიც ადგენს დისტანციას ქალს და მამაკაცს შორის.

გამაჰმადიანებულ დასავლელთა მშობლები შვილების გამაჰმადიანებას თვლიან სატანისტურ სექტაში შესვლად და რომ ეს სექტა რეცხავს მათი ბავშვების ტვინს და აქცევს მათ ემოციური მანიპულაციის ობიექტებად. დასავლელი მშობლების უმრავლესობას აქვს იმედი იმისა რომ მათი შვილების გამაჰმადიანება დროებითი სიგიჟეა და რომ ახალგაზრდები მოეგებიან გონს და დაუბრუნდებიან მშობლიურ წიაღს. მაჰმადიანობას იღებს ათასობით ევროპელი, აშშ-ს მკვიდრი, ავსტრალიელი და მეტიც, ისრაელელი ახალგაზრდა. გამაჰმადიანებულ დასავლელთა მცირე რაოდენობა მიდის უფრო შორს და უერთდება ჯიჰადს სირიაში და ერაყში. ეს არაა სიახლე იმიტომ რომ გამაჰმადიანებული დასავლელები იყვნენ ალ კაიდაშიც. ისლამური სახელმწიფოს გაძლიერებამ დიდი ბიძგი მისცა გამაჰმადიანების პროცესს. ათასობით კაცი შეუერთდა ჯიჰადს, ბევრი შეუერთდა ყოფილი ქრისტიანული ქვეყნებიდან. ისინი წავიდნენ ალაჰისთვის წმინდა ომში მონაწილეობის მისაღებად. მრავალი გამაჰმადიანებული დასავლელი ქმნის მნიშვნელოვან რეზერვს. ასე ხდება რომ მაჰმადიანთა გადასახლება და დასახლება ევროპაში, აშშ-ში და ავსტრალიაში.

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



**— ეხება თუ არა უვადო თავისუფლების აღკვეთას ამნისტიის კანონი?**

— უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

უპირველესად, მოგახსენებთ შემდეგს:

ზოგადად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72–1 -ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვას., გარკვეული დათქმით. დაგიკონკრეტებთ:

1. თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი, სასამართლო უფლებამოსილია იგი პირობით გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ამ კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამოსაცდელი ვადით. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით.



2.1. თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი და წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა, სასამართლო უფლებამოსილია იგი პირობით გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ამ კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამოსაცდელი ვადით. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე, დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით. (ამოქმედდეს 2021 წლის 9 თებერვლიდან)]

2. თუ მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში:

ა) განზრახ თავი აარიდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, სასამართლო უფლებამოსილია ამ კოდექსის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ორგანოების წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს გამოსაცდელი ვადა და აღსრულდეს უვადო თავისუფლების აღკვეთა;

ბ) გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა, გამოსაცდელი ვადის გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო;

გ) განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უნიშნავს მას სასჯელს ამ კოდექსის 59-ე მუხლით დადგენილი წესით. იმავე წესით დაენიშნება მსჯავრდებულს სასჯელი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისათვის, თუ სასამართლო გააუქმებს გამოსაცდელ ვადას

აქედან გამომდინარე, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ კანონი „ამნისტიის შესახებ“ ეხება უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებსაც ერთჯერადად, ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე.

დაგიკონკრეტებთ:

კანონის „ამნისტიის შესახებ“ მე-5 მუხლი მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ კანონის ამოქმედების მომენტისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირს, რომელსაც სასჯელის სახით შეფარდებული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, სასჯელი შეეცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით და მის ვადად განისაზღვრება ოცი წელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული შეწყალების აქტი მსჯავრდებულის უფრო ადრე გათავისუფლებას ითვალისწინებს.

* * *

**- განქორწინებული მეუღლე არ მაძლევს თანხმობას ჩვენი არასრულწლოვანი შვილის საზღვარგარეთ გაყვანის შესახებ. არადა, ჩვენ ყველანი ერთად ვცხოვრობდით შვედეთში. ბავშვიც იქ დაიბადა. შემდეგ მეუღლემ მიმატოვა და დაბრუნდა საქართველოში. მე შვედეთში მაქვს მაღალანაზღაურებადი სამსახური, ჩემი ვაჟიც იქ მყავს, დადის საბავშვო ბაღში და ა. შ. ბავშვი დაიბადა ჩვენი განქორწინების შემდეგ. მამას ის არასოდეს მოუკითხავს. მინდა ჩამოვიდე საქართველოში, მაგრამ იმის შიშით ვერ ჩამოვდივარ, რომ ვიცი, თანხმობას არ მომცემს ბავშვის უკან წამოყვანაზე, ოღონდ არა შვილის სიყვარულის გამო, არამედ, ჩემთან დაპირისპირების გამო, თორემ მას შვილი თვალითაც არ უნახავს. მითხრეს, რომ შეიძლება, ეს სასამართლო წესით დარეგულირდეს. როგორ მოხდება ეს?**

- დიახ, ეს შესაძლებელია სამოქალაქო კანონმდებობით, რომელიც ითვალისწინებს მშობლის ზოგიერთი უფლების შეზღუდვას. ძირითადად, სასამართლო პრაქტიკაში ზუსტად ამ ტიპის დავებია. კერძოდ, მოსარჩელეები ითხოვენ შვილის საზღვარგარეთ გაყვანისა და, ასევე, ბავშვის პასპორტის აღების ნაწილში მშობლის უფლების შეზღუდვას. ბუნებრივია, მოთხოვნა უნდა იყოს დასაბუთებული და გამომდინარე არასრულწლოვნის ინტერესებიდან.

* * *

**— ყველაფერი მაინტერესებს განქორწინების რეგისტრაციის შესახებ.**

განქორწინების რეგისტრაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ:

• იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს;

• სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს;

• საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო წარმომადგენლობას;

მეუღლეთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციისთვის, უფლებამოსილ ორგანოში წარსადგენი დოკუმენტებია:

• განსაქორწინებელ პირთა ერთობლივი წერილობითი განცხადება;

• განსაქორწინებელ პირთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

• ქორწინების მოწმობა;

ერთ-ერთი მეუღლის მიერ განქორწინების რეგისტრაციის თაობაზე წარდგენილ განცხადებას, საფუძვლის გათვალისწინებით, ასევე უნდა დაერთოს ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი დოკუმენტი:

• განქორწინების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

• მეორე მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

• მეორე მეუღლის ქმედუუნაროდ ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (თუ აღნიშნული პირი 2015 წლის 1 აპრილამდე ცნობილია ქმედუუნარო პირად);

• მეორე მეუღლისათვის არანაკლებ 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი;

შენიშვნა: თუ განცხადებას წარადგენს განქორწინების მსურველი პირის წარმომადგენელი, აღნიშნულ დოკუმენტებს ასევე უნდა დაერთოს წარმომადგენლის პირადობის და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი:

ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები უფლებამოსილ ორგანოებს უნდა წარედგინოს მატერიალური ფორმით. დოკუმენტების წარმოდგენა აუცილებელი არ არის, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის — სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

ასევე აუცილებელია, სხვა სახელმწიფოში გაცემული (დამოწმებული) დოკუმენტები (გარდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა) წარდგენილი იქნას სათანადო წესით ლეგალიზაციის ან აპოსტილით დამოწმების შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ თარგმანთან ერთად, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

განქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს წარმომადგენლის საშუალებით, შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

• სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა;

• მინდობილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

განქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის გასვლისთანავე.

განქორწინების რეგისტრაციისა და მოწმობის გაცემისათვის მომსახურების საფასური წარმოადგენს 45 ლარს.

განქორწინების რეგისტრაციისთვის დადგენილი საფასურის გადახდისგან თავისუფლდებიან:

• იძულებით გადაადგილებული, დევნილად ცნობილი პირები — სრულად;

• სტუდენტები, რომლებზეც გაცემულია პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა აღნიშნული „სტუდენტი“ — 10%-იანი შეღავათით.

# ფრანკლინ რუზველტი – სტალინისა და ამერიკელების საყვარელი პრეზიდენტი

ამერიკელებისთვის ფრანკლინ დელანო რუზველტი ყოველთვის საყვარელი პრეზიდენტი იყო და არის. გიამბობთ აშშ-ის 32-ე პრეზიდენტის ცხოვრების მდიდრულ სტილზე, მის ოჯახსა და საყვარლებზე...

### უზადო ურთიერთობები

ერთ დილას ფრანკლინ დელანო რუზველტმა მთელი თეთრი სახლი შემოიარა ცოლის, ელეონორას ძებნაში, მაგრამ ამაოდ. კითხვაზე, სად იყო პირველი ლედი, მდივანმა უპასუხა, ციხეშიაო. „რატომღაც არ მიკვირს. რის გამო მოხვდა იქ?“ — იკითხა რუზველტმა.



იმ დღეს ელეონორა პატიმრებთან შეხვედრაზე საქველმოქმედო მიზნით მივიდა. ქალი აქტიურად იყო ჩართული ამერიკის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეხმარებოდა მეუღლეს ქვეყნის მთავარი პოსტისთვის ბრძოლაში.

თითქოს წყვილის ურთიერთობაში ყველაფერი იდეალურად იყო: მრავალწლიანი უზადო ქორწინება, ხუთი შვილი, ცამეტი შვილიშვილი...

საყვარლების შესახებ მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა ცნობილი. სპეცსამსახურები რუზველტის საიდუმლოებებს გულდაგულ მალავდნენ. რომანი ბევრ ლამაზ ქალბატონთან ჰქონდა, მისი მთავარი სიყვარული ლუსი მერსერი იყო.



### ყმაწვილი მეზღვაური

ფრანკლინ რუზველტი ბავშვობიდან იყო შეჩვეული სიმდიდრეს. მისი მამა, ჯეიმს რუზველტი ცნობილი მეწარმე და ჰუძონის ნაპირას გაშენებული ჰაიდ-პარკის მამულის მფლობელი იყო. დედამისს დიდი ქონება ჰქონდა და ადგილობრივი არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო..

რვა წლის ასაკში ფრანკლინმა მარკების შეგროვება დაიწყო, მშობლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან რომ ჩამოჰქონდათ მისთვის.

ზაფხულობით ფრანკლინი მშობლებთან ერთად ევროპის გარშემო მოგზაურობდა. კუნძულ კამპობელოზე ბიჭუნა ზღვაოსნობამ გაიტაცა და მეზღვაურობაც კი უნდოდა. ის გატაცებული იყო აფრიანი გემების მოდელების შექმნით. 15 წლის რომ შესრულდა, ორანძიანი, შვიდი წლის შემდეგ კი შვიდმეტრიანი გემი უსახსოვრა მამამ.

რუზველტის გარემოცვაში თვლიდნენ, რომ მისი სიმდიდრე და იახტების სიყვარული ამომრჩევლებს შეაშინებდა, მაგრამ ის არათუ მალავდა აფრიანი სპორტის მიმართ სიყვარულს, არამედ წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიაში 1932 წელს ახალ ინგლისში ვაჟებთან ერთად გემით გაემგზავრა.

ერთი წლის შემდეგ რუზველტები უკვე საპრეზიდენტო იახტაზე ისვენებდნენ. მომდევნო კამპანიის დროს ფრანკლინი ამომრჩევლებთან ისევ იახტით მივიდა. ასევე მოიქცა 1939 წელსაც, როდესაც კვლავ გადაწყვიტა საპრეზიდენტო მარათონში მონაწილეობის მიღება.

### მდივანი ცოლისთვის

პოსტისთვის ბრძოლაში ფრანკლინს ძალიან ეხმარებოდა მეუღლე ელეონორა. ჰარვარდისა და კოლუმბიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაღალი, წარმოსადეგი, ელეგანტური კურსდამთავრებული შესაშური სასიძო იყო. ბევრ მსურველს შორის მან ელეონორა აირჩია...

ახალგამომცხვარ იურისტი პოლიტიკამ გაიტაცა. ფრანკლინი დემოკრატების რიგებში შევიდა და აქტიურად უჭერდა მხარს ვუდრო ვილსონს. პრეზიდენტმა ვილსონმა რუზველტი სამხედრო-საზღვაო მინისტრის თანაშემწედ დანიშნა.

მეუღლის თანამდებობის გათვალისწინებით ელეონორამ გადაწყვიტა მდივანი აეყვანა. ეს ლუსი მერსერი აღმოჩნდა. მინისტრის თანაშემწეს ერთი ნახვით შეუყვარდა გოგონა. მან ცოლისგან წასვლაც კი გადაწყვიტა. ქალმა ეს ამბავი კეთილისმყოფელებისგან გაიგო და ბავშვებთან ერთად წავიდა სახლიდან. საქმეში ფრანკლინის დედა ჩაერია — ძალიან მდიდარი და ძალიან გავლენიანი...

დედა ვაჟს დაემუქრა, მთელ ფულს წაგართმევო, მერსერი კი მდიდარ რეზერფორდს გააყოლა ცოლად, რომელიც ქალზე ბევრად უფროსი იყო. შეყვარებულები დაშორდნენ. რუზველტი პოლიტიკაზე გადაერთო. ის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე წამოაყენეს. არჩევნებში მისი პარტია დამარცხდა და ფრანკლინი იძულებული გახდა, საადვოკატო პრაქტიკას დაბრუნებოდა.

1921 წელს ფრანკლინს პოლიომიელიტი დაემართა და სხეულის ქვედა ნაწილი დაუდამბლავდა. ის მთელი ძალით ებრძოდა დაავადებას,



რამდენიმე ხნის შემდეგ კი უკვე ყავარჯნებით გადაადგილდებოდა. გაიზარდა მისი კარიერული ამბიციები და თავისი დაავადების პოლიტიკურ ბრძოლაში კოზირად გამოყენება გადაწყვიტა.

1928 წელს რუზველტი ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი გახდა. დიდი დეპრესიის წლებში მისი ღვაწლი ღირსეულად დააფასეს ამერიკელებმა და პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენეს. 1932 წელს მან არჩევნები მოიგო.

### ოჯახურ ბუდეში

მიუხედავად იმისა, რომ რუზველტების ოჯახი თეთრ სახლში გადავიდა საცხოვრებლად, ფრანკლინს ძალიან უყვარდა ოჯახურ მამულში სპრინგვუდში, ჰაიდ-პარკში ყოფნა. ამ მყუდრო სახლის სტუმრები სხვადასხვა დროს იყვნენ მეფე გეორგ VI, დედოფალი ელიზაბეთი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, ნორვეგიის კრონ-პრინცი ოლაფი და ნიდერლანდების დედოფალი ვილჰელმინა.



### საიმპერატორო სასახლე პრეზიდენტისთვის

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიმართ იოსებ სტალინს დიდი სიმპათიები გააჩნდა. ამიტომ, 1945 წელს იალტის კონფერენციის დროს მას განკარგულებაში გადასცა ლივადიის სასახლე, სადაც რუსეთის იმპერატორები ცხოვრობდნენ. სწორედ იქ იმართებოდა ძირითადი მოლაპარაკებები.

რეზიდენციის გარშემო უმკაცრესი გამშვები რეჟიმი იყო — დაცვის ორმაგი ჯაჭვითა და ძაღლებით.

იცოდა რა სიმდიდრისადმი რუზველტის სიყვარულის შესახებ, სტალინმა ყველაფერი გააკეთა, რომ აპარტამენტები სტუმარს მოსწონებოდა. ვაშინგტონიდან სპეცსამსახურის თანამშრომლებიც კი ჩამოვიდნენ, რომლებმაც სააბაზანო ოთახში კაფელის ფერიც კი შეარჩიეს.

ამერიკელებმა რუზველტისთვის ყირიმში რამდენიმე დაჯავშნილი მანქანა ჩამოიყვანეს, რომლებითაც ის ოფიციალურ შეხვედრებზე მიდიოდა.

ხოლო, იმის ჩამოთვლა, რითი გაუმასპინძლდა სტალინი პატივსაცემ სტუმრებს, შორს წაგვიყვანს...

### მეგობრების წრეში

ამერიკაში დაბრუნების შემდეგ რუზველტი რაღაც დროის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა, მერე კი თანაშემწეებს განუცხადა, რომ მეგობრებთან ერთად უორმ-სპრინგსში უნდოდა დასვენება. ვილაზე ჩავიდნენ ლუსი მერსერი-რეზერფორდი მეგობარ ქალბატონთან, მხატვარ ელიზავეტა შუმატოვასთან ერთად და ფოტოგრაფი რობინსონი.

რუზველტის ბიოგრაფები დღემდე დაობენ იმის შესახებ, ლუსი მერსერის ერთადერთი ქალიშვილის მამა რუზველტია თუ უკვე ასაკოვანი რეზერფორდი.

1945 წლის 12 აპრილს პრეზიდენტი ტრადიციისამებრ მუშაობდა, მერე მხატვართან პოზირებდა, შემდეგ მარკების კოლექციას ათვალიერებდა. სადილობამდე ეწეოდა და მოულოდნელად გონება დაკარგა.

რამდენიმე საათის შემდეგ რუზველტი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. შუაღამისას პრეზიდენტის ქვრივი ჩამოვიდა. მან უცებ გაარკვია, ვისთან ერთად იყო მისი ქმარი რეზიდენციაში. აღმოჩნდა, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში ლუსი და ფრანკლინი ერთმანეთს ხვდებოდნენ. მერსერი ჩუმად მიდიოდა თეთრ სახლში და ხშირად ახლდა იახტებით მოგზაურობისას.

ლუსის მიმართ ნაზი გრძნობები და სერიოზული დაავადება ხელს არ უშლიდა რუზველტს, სხვა რომანებიც გაეჩაღებინა. მას მიაწერენ რომანს თავის მდივანთან მისი ლეხანდთან. ქვეყნის მმართველს ხშირად ხედავდნენ მისისთან ერთად.

რუზველტს რომანი ჰქონდა „ნიუ-იორკ პოსტის“ გამომცემელთან დოროთი შიფთან, შვედეთის პრინცესა მარტასთან, რომელიც ოცნებობდა, რომ მისი ცოლი გამხდარიყო.

მიაჩნიათ, რომ ფრანკლინს მეუღლემ ღალატი ვერ აპატია. სწორედ ამით ხსნიან, რომ რუზველტი დახურულ კუბოში დაასაფლავეს. მიუხედავად ამისა, ფრანკლინ დელანო რუზველტის დაკრძალვა ამერიკის ისტორიაში ყველაზე პომპეზური იყო. ის ორი დღე გრძელდებოდა. რუზველტის ცხედარი ვაშინგტონის ქუჩებში ჩამოატარეს. ჰაერში მას სამხედრო თვითმფრინავები ახლდნენ. პრეზიდენტთან გამოსამშვიდობებლად 400 ათასი ადამიანი მივიდა. მთელ ამერიკაში წუთიერი დუმილი გამოცხადდა. ყოფილი პრეზიდენტი საარტილერიო ზალპებით გააცილეს.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

**საერთო გაზეთი“**
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99